საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 ნოემბერი, 2013 წელი.

№210 (7337)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„პრეზიდენტმა“ ბოლომდე აურია!..

5

„სააკაშვილი კრიმინალთა შეწყალებით ამტკიცებს, რომ ქილერების უკან თვითონ დგას!“

თბილისის მერის გარშემო რკალი ვიწროვდება?

5

მამუკა არეშიძე: აფხაზეთში მდგომარეობა რთულდება

4

სამხრეთი ოსეთის საზღვართან ომიდან ხუთი წლის შემდეგ

8

საინფორმაციო ომები – საფრთხე ცივილიზაციისთვის

7

დაემშვიდობეთ პოლიტიკას!

3

თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისთვის...

11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ შეხვედრა

პრემიერი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ პატრიკ ჰიკს უმასპინძლა.

პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრას ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი გვიდო დე ბონდი და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაესწრნენ.

მათივე ცნობით, მხარეებმა განიხილეს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის საორგანიზაციო საკითხები, რომელიც 2015 წელს თბილისში უნდა გაიმართოს. საუბარი შეეხო ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს.

როგორც შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველო სპორტული ქვეყანაა, რასაც მოწმობს 35 ოლიმპიური ჩემპიონის არსებობა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიეცემა საშუალება, უმასპინძლოს არაერთ ევროპულ თუ მსოფლიო სპორტულ ღონისძიებას.

— კარგია, რომ ამ მხრივ იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. 2013 წელს თბილისში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, ხოლო 2015 წელს ტარდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი და ასევე ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, — განაცხადა პრემიერმა.

◎ დედაქალაქი

პრეზიდენტსა და პრემიერს არა აქვს იმდენი უფლებები...

თბილისის შესახებ კანონში ცვლილებები ერთადერთი საშუალებაა, რომ აღდგეს ნორმალური ურთიერთობა საკრებულოსა და მერიას შორის , — ამის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა სამუშიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

სამუშიას თქმით, დღევანდელი კანონმდებლობით, თბილისის მერს პრეზიდენტსა და პრემიერზე მეტი უფლებები აქვს და საკრებულოს არანაირი რეალური ფუნქციები არ გააჩნია.

— წინა კვირას მოვიწვიეთ დედაქალაქის მერი, კანონი მას ავალდებულებს მოსულიყო. მაგრამ ის საკრებულოში არ მოვიდა. ფაქტია, რომ კანონი დაარღვია, მაგრამ რა პასუხს აგებს, ამის შემდეგ რას ვაკეთებთ, კანონში გაწერილი არ არის. მთელ მერიას ქალაქის მერი ნიშნავს და ისე ათავისუფლებს, რომ არავის ეკითხება, — განაცხადა სამუშიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ცვლილებებს მხარს უჭერს, რადგან ეს არის ერთადერთი საშუალება აღდგეს ნორმალური ურთიერთობა საკრებულოსა და მერიას შორის და საკრებულომ დაიბრუნოს ის ფუნქციები, რაც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში თვითმმართველობას გააჩნია.

◎ ენას ძვალი არა აქვს

ანდრო ბარნოვი ტყუილებს ლაპარაკობს

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის ინფორმაციით, კომისიას მაიზერ ლიპარტელიანის, დავით ადეიშვილისა და ნიკოლოზ ძიმციეიშვილისთვის შეწყალების რეკომენდაცია არ მიუცია.

როგორც ელენე თევდორაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული პირები იმ სიაშიც კი არ მოიძებნებიან, ვინც პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა და მათი საქმეები არც განუხილავთ.

ამასთან, როგორც თევდორაძე აცხადებს, 70 პატიმარზე მეტი შეწყალებელ პირთა სიაში ისე შეიყვანეს, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა. თუმცა, როგორც თევდორაძემ განმარტა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არანაირი კანონი არ არეგულირებს. მისივე განმარტებით, შეწყალების კომისია სარეკომენდაციო ორგანოა, რომელსაც შეიძლება პრეზიდენტი ან დაეყრდნოს ან — არა, მაგრამ მას სრული უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება. ამასთან, როგორც თევდორაძე აცხადებს, პრეზიდენტს შეეძლო კომისია არ მოეწვია და შეეწყალებინა ის, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა.

— მაიზერ ლიპარტელიანზე, კომისიას შეწყალების რეკომენდაცია არ გაუცია. აღნიშნული პირები სიაშიც არ ყოფილან. მათი გვარები იმ სიაშიც არ არის, ვინც კი პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა. როგორ განვიხილავდით მაგალითად ადეიშვილის საქმეს, როდესაც იგი ციხეში არ მჯდარა? ჩვენ ხომ საქმეს ციხე გვიგზავნის. ეს იმდენად აბსურდულია, ჩემთვის მოულოდნელი იყო. 1995 წლიდან კომისიაში ვიყავი, 10 წელია თავმჯდომარე ვარ, ასეთი შემთხვევა არის პირველი, როდესაც პატიმარი არის გაქცეული და პრეზიდენტმა შეიწყალა, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ანდრო ბარნოვს მიმართავს. თევდორაძის ინფორმაციით, გუშინ ანდრო ბარნოვმა აღნიშნა, რომ არ იცის, თუ ვის სიაში იყვნენ შეწყალებული პატიმრები.

— მე მინდა, მივმართო ბატონ ანდროს, ინტელიგენტი კაცია, პატივს ვცემდი, მაგრამ ჯობია, სიმართლე ილაპარაკოს ახლა რომ ამთავრებს თავის საქმიანობას. პრეზიდენტი ზუსტად ბარნოვს ავალებდა, როგორც აპარატის უფროსს, მოემზადებინა დამატებითი საქმეები, რაც არ შედიოდა კომისიაში. მან ძალიან კარგად იცის ეს, სანამ პრეზიდენტთან აიტანდა სიას, თავად გაიარა ჩვენი სარეკომენდაციო სია და ძალიან კარგად იცის, ვინ იყო ამ სიაში და ვინ — არა, — განაცხადა ელენე თევდორაძემ და დასძინა, რომ თავად იმ ოქმს მოაწერს ხელს, სადაც მისი რეკომენდაციით შეწყალებული პირები არიან.

ამასთან, ელენე თევდორაძემ აღნიშნა, რომ შეწყალების კომისია 8 წლის განმავლობაში ძალიან არაკომფორტულ მდგომარეობაში იყო. რაც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიცვალა.

◎ ხაზინის ძარცვა

პეტრე მამრაძე: დანაშაულია, როდესაც მარიამ ბოკუჩავასა და სხვებისთვის, ათი ათასობით ღირებულების ძვირფასი სამკაულებია ნაყიდი

მთავრობის კანცელარიის ყოფილმა უფროსმა პეტრე მამრაძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში 30 ოქტომბერს პრეზიდენტის მიერ მისი ფონდიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე ისაუბრა.

იმ მრავალ დანაშაულთაგან, რომელიც ცხრა წლის განმავლობაშია ჩადენილი, დავიწყებდი იმით, რომ დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯები გამოქვეყნდა, რომელშიც ჩანს, რომ ათი ათასობით ლარი სააკაშვილის ვაჟიშვილების კერძო სკოლებში სწავლის დაფარვაზეა დახარჯული. მე ვიყავი კანცელარიის უფროსი და ვიცი, რომ ეს არ არის არამიზნობრივი ხარჯი, ეს დანაშაულია. როდესაც მარიამ ბოკუჩავასთვის და სხვებისთვის, მათ შორის ქსენია სოკოლოვასთვის ნაყიდია ათი ათასობით ღირებულების ძვირფასი სამკაულები, მობილური ტელეფონები, როდესაც ვიღაცების ბოტოქსი ფინანსდება, ეს დანაშაულია. ეს არის დანაშაულებრივი ხარჯვა, მიტაცება, გაფლანგვა განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის. აქვეა მოგზაურობები, როდესაც 2010 წელს კიევში, გაემგზავრნენ, კიევის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააფიქსირა 1400-ზე მეტი დამკვირვებელი საქართველოდან ჩასული და აქედან ნახევარზე მეტს ეწერა, რომ არიან დროებით უმუშევრები, გვარებით დადგინდა, რომ ისინი არიან პოლიციელები, ანდა რეზერვში არიან. ამის შემდეგ ცესკო-ს ექსპერტებმა გამოაცხადეს, რომ ამ ადამიანების ჩამოყვანა, დაბინავება და ა. შ. სულ ცოტა 10 მლნ დაჯდა. მხოლოდ ეს ფაქტი, რომ იყო დაბეჭდილი და გამოქვეყნებული, საკმარისია იმისთვის, რომ საქმე აღიძრას“, — განაცხადა მამრაძემ.

◎ საშიში დამნაშავენი შეიწყალა

უკიდურესად შემაშფოთებლი

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებულ პირთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. უფრო კონკრეტულად, შეწყალებულთა შორის არიან: განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის მსჯავრდებული 15 პირი, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული 4 პირი (აქედან 12 პირი სრულად გათავისუფლდა სასჯელისაგან — ყველა მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის), ყაჩაღობისთვის მსჯავრდებული 32 პირი (უმრავლესობა მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის. მათგან 13 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება), ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული 70 პირი (მათგან უმრავლესობა რეალიზატორია, ანუ ის პირები, რომელთაც არ შეეხოთ წინა ამნისტია რეალიზატორობის გამო. 70-ვე მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის), ქურდობისთვის მსჯავრდებული 27 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის), ძარცვისთვის მსჯავრდებული 6 პირი, მითვისება/გამოძალვისთვის მსჯავრდებული 30 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის), სამოხელეო დანაშაულისათვის მსჯავრდებული 6 პირი (მათგან 3 ქრთამისთვის მსჯავრდებული), ასევე შეწყალებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის მსჯავრდებული 9 პირია და სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული 15 პირი (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხულიგნობა, კონტრაბანდა, გადასახადისათვის თავის არიდება, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და სხვა).

ამასთან, შეწყალებულთა შორის 53-ს სასჯელი გაუნახევრდა, ხოლო 4-ს შეუმცირდა. 122 პირი გასამართლებულია 2012 წლის 2 ოქტომბრამდე.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. როგორც უწყების პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი აცხადებს, შსს პრეზიდენტის

მიერ განხორციელებულ შეწყალებას „ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელ გადაწყვეტილებად“ აფასებს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კატეგორიულად მიუღებელია შეწყალების ეს ფაქტი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება არის ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელი, ვინაიდან შეწყალებულთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. აქვე მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა 2204 პირი შეიწყალა, რომელთა შორისაც მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში განმეორებითი დანაშაულისთვის სამართალდამცველებმა 240 პირი დააკავეს, — განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

◎ სასამართლო

ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს

ასევე გამართლდა ახალაიასთან ერთად ბრალდებული შვიდივე პირი — ალექსი დავითაშვილი, დავით ვეკუა, რობერტ სუთიძე, ვლადიმერ ზანგიევი, დავით გიორგაშვილი, დავით ჩუბინიძე და მამუკა აბაშიძე. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში შეკრებილები ტაშით შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლე დავით მგელიაშვილმა 2 თვეზე მეტია განიხილა, თუმცა, განაჩენი ამ დრომდე უცნობი იყო.

საქმე ეხება ბაჩო ახალაიას შს მინისტრად მუშაობის პერიოდს, როდესაც გამოძიების ცნობით, მან კოალიცია „ქართული ოცნებისადმი“ სიმპათიის გამო შს სამინისტროს 7 თანამშრომელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შეგახსენებთ, რომ ბაჩო ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა მიუსაჯეს.

კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ე.წ. სამხედროების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხებოდა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გამართლდა.

რამდენიმე დღის წინ ბაჩო ახალაია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიეცა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

დაემშვიდობეთ პოლიტიკას!

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა პრეტენზიის მქონე პარტიებს დიაგნოზი დაუსვა. ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობის, ნინო ბურჯანაძის, შალვა ნათელაშვილის და ქრიატიან-დემოკრატიული პარტიების დიაგნოზი კატასტროფულია – მათ არაფერი ესაქმებათ პოლიტიკაში, საერთოდ კი – ინტელექტუალურ სფეროში.

ბაქრაძის 21 პროცენტი არაფერს ნიშნავს. თუ საакაშვილს, უგულავას და ადეიშვილს (ახალაია, მერაბიშვილი და კეზერაშვილი უკვე სხედან) ხელისუფლება მძიმე დანაშაულისთვის არ დასჯის, ხალხი იძულებული გახდება მათ ისე გაუხადონ საქმე, რომ თვითონვე იხვეწებოდნენ: ოღონდაც ხალხის რისხვას თავიდან აგვაცილეთ და თანახმა ვართ ციხეში სამუდამოდ გამოვიკეტოთო, ხოლო ვიწრო თვალსაწიერის მქონე ბაქრაძე (ჩანგალა) უმალვე იმ გუნდში გადაბარგდება, სადაც მას ფიზიკური გადარჩენის და ლუკმაპურის შოვნის გარანტიას მისცემენ. ულიდეროდ დარჩენილი ნაცები კი სულ მოკლე დროში, რომ იტყვიან, ფაჩიკოს გარმონივით დაიშლებიან. ყველაფერი ასე რომ იქნება, ამას არ უნდა დიდი წინასწარმეტყველება. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომ ანტიხალხურმა, ანტიქართულმა მოძრაობამ (ეგრეთ წოდებული ნაციონალური) როგორ მიიღო არჩევნებზე მისულთა 21 პროცენტი?

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურად განუსწავლელია – არ ძალუძს მოვლენების ანალიზი და იქიდან სათანადო დასკვნების გამოტანა. შედეგად, ადვილად ეგებიან დემაგოგთა ანკესზე. მაგალითად, საакისტები ადამიანებს დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ – არ გქონდათ დენი, ფული, ახლა ყველაფერი გაქვთ, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ საქართველომ გადაუსწრო იაპონიას, გერმანიას და სხვა მოწინავე ქვეყნებს. გულუბრყვილო ამომრჩეველს ჰგონია, რომ მართლაც გავუსწარით ზემოხსენებულ ქვეყნებს და ბიუჯეტის შევსებაც ნაცების კარგ მუშაობას მიეწერება. მაგრამ არ უწყიან, რომ ქვეყნის ამ დამაქცევარებმა ფული იშოვეს სტრატეგიული ობიექტების, ქართული მიწების გაყიდვით, ბიზნესმენთა დაყაჩაღებით, საზღვარგარეთიდან ოთხმილიარდ-ნახევარი დოლარის შემოდინების (დევნილთა დასახმარებლად) არამიზნობრივად დახარჯვით, ინვესტორების მოზიდვის მიზნით – ათასობით უცხოელისთვის საქართველოში დასახლების უფლების მიცემით. თუ რამდენიმე წელიწადს ასე გაგრძელდა, საქართველოში ქართველისათვის ადგილი აღარ იქნება.

ნაციონალები სამოქალაქო ომისდროინდელ საქართველოს დღვანდელს ადარებენ. სამოქალაქო ომმა ყველაფერი გააჩანაგა, ბიუჯეტი გამოაცარიელა. ყველგან ასე ხდება: ამგვარი ომი ყველაფერს სპობს და ანადგურებს. საქართველო ხომ არ იქნებოდა გამონაკლისი – სამოქალაქო ომს უმტკივნეულოდ ჩაეარა. დარწმუნებული ვარ, იმდროისათვის ბაქია საакისტები შიშით თავს გარეთ ვერ გამოყოფდნენ.

მიუხედავად ქაოსისა და განუკითხაობისა, ქართველმა ხალხმა თავის თავში მაინც გამონახა შინაგანი ძალები და ნელ-ნელა შეუდგა ქვეყნის ფეხზე დადგომის საქმეს. სწორედ ამ დროს შეთქმულებმა (ჟვანია, საакაშვილი, ბურჯანაძე) აშშ-ს და რუსეთის დახმარებით ძალაუფლება ხელთ იგდეს და ქვეყანა წარმართეს პატრონების სურვილების მიხედვით.

– აშშ ცდილობს (ამ ქვეყნის და იქ არსებული დიასპორის მეშვეობით საакისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში) საქართველო მარიონეტ სახელმწიფოდ აქციოს. იგივე სწადია რუსეთსაც. როგორც ცნობილია, იმდროისათვის საакაშვილი ფულის ჩამოსატანად მრავალჯერ იყო მოსკოვში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ივანოვი მოგვევლინა მომრიგებელ მოსამართლედ და მზრუნველი პატრონივით ჭკუას გვარიგებდა. ბუნებრივია, ორი პატრონის მსახურება ძალიან ძნელია – რომელიმე მათგანთან კონფლიქტიც გარდაუვალია.

– ქუთაისში პარლამენტის გადატანა თავისთავად აშკარად გამოხატული ანტიქართული მოვლენაა. გავიხსენოთ 1918 წლი ნოემბერ-დეკემბერი. სწორედ არაკეთილმოსურნეთა მოთხოვნას – თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანას – მოჰყვა სერიოზული ომი. იბადება კითხვა: ხომ არ არის ზემოხსენებული დიასპორის მოთხოვნა ქუთაისში პარლამენტის გადატანა?

საერთოდ, დედაქალაქსა და მის შემოგარენში სახლდება მკვიდრი მოსახლეობა. ამ მხრივ პრობლემები თბილისში გვაქვს და არა ქუთაისში. ყაზახები ჭკვიანურად მოიქცნენ, როდესაც ქვეყნის ჩრდილოეთით ახალი დედაქალაქი – ასტანა დააარსეს. ამჟამად იქ შეიმჩნევა ყაზახური მოსახლეობის დიდი საჭარბე. თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანას ქართველი ხალხისგან დიდი პროტესტი უნდა მოჰყოლოდა. შედეგად კი – ნაციონალების ხელისუფლებიდან ჩამოშორება. კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარის შეყვანაც დანაშაულის ტოლფასია. აფხაზები ასე თუ ისე ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს ფარგლებში დე ფაქტოდ ყოფნას, ხოლო, როდესაც მოვისურვეთ დე იურედ მისი გადაქცევა, ამის შემდეგ აფხაზები იძულებულნი გახდნენ სათანადო ზომები მიეღოთ...

უცხოელებს ვეკითხებით რუსეთ-საქართველოს ომის თაობაზე. წინ მოვლენები „გვიტრიალებს“ და სადღაც, რომ იტყვიან, ცხრა მთას იქით მცხოვრებ ადამიანს ეკითხები ამის შესახებ? შენ თვითონ ყველაზე კარგად არ უნდა იცოდე რა ხდება საკუთარ ქვეყანაში?

ძალიან მოკლედ ვამბობ (ვინაიდან ამის შესახებ მრავალჯერ დამიწერია): 2008 წლის შემოდგომით ქართველი ხალხი დიდ გამოსვლებს ამზადებდა გათავხედებული საакაშვილის აღვირახსნილი ქცევის საწინააღმდეგოდ. ამ საყოველთაო პროტესტის გადასაფრად ქართველთმოძულე საакაშვილმა ქვეყნის დამღუპველი რამ ჩაიფიქრა – რუსეთის ომის პროვოკაციაზე წამოეგო. გულუბრყვილო ადამიანებს ჰგონიათ, პირიქით მოხდა. კრემლსაც რა ენაღვლებოდა – ამ ანკესს ხალისით წამოეგო.

სწორედ ომის მსვლელობისას უნდა გადაგვეყენებინა საакაშვილი. ამით ბევრს მოვიგებდით – შევინარჩუნებდით ახალგორის რაიონს, თავიდან ავიცილებდით აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას, უკვე თავიდან მოშორებული გვექნებოდა პირსისხლიანი საакაშვილის რეჟიმი – თავისი ყველა წარმომადგენლით და ატრიბუტით. დავუჯერეთ ცრუპოლიტიკოსს გამყრელიძის მოწოდებას (მორატორიუმის თაობაზე) და მივიღეთ უარყოფით მოვლენათა სიმრავლე.

ყველაფერ ამის შესახებ პრესისა და ტელევიზიების მეშვეობით რეგულარულად ხალხს უნდა მიეწოდოს, მაგრამ საკითხავია ვინ მიაწოდოს? – ჩვენში ხომ უმთავრეს შემთხვევაში ისინი ჭეშმარიტი პოლიტოლოგები, ექსპერტები და მოვლენებში ღრმად ჩახედული ადამიანები არ არიან. ჭარბობენ: საакისტები, ბოლშევიკები, რუსეთუმეები, ამერიკუმეები, ურაპატრიოტების მაქებარი ინდივიდები, სეპარატისტები... მართლის მთქმელებს, საერთოდ, საჯაროდ გამოსვლის საშუალება იშვიათად ეძლევათ.

ქებით იხსენებენ 1986-91 წლის მოვლენებს, როდესაც ურაპატრიოტებმა, ქვეყანას კატასტროფა განაცდევინეს. საყოველთაოდ აღიარებულ საქართველოსთვის მცირე ოქროს ხანის (1918-21 წწ.) შემოქმედ ადამიანებს ლანძღვით მოიხსენიებენ. შესანიშნავი მამულიშვილების სახელობის ერთი ქუჩაც კი არსად არის, ძეგლებსა და მონუმენტებზე რომ არაფერი ითქვას.

ქართველი ინტელექტუალები (თუკი არსებობენ ისინი) მომეტებულ სიმხდალეს იჩენენ. საერთოდ, ხალხიც ამ თვისების მატარებელია. სამწუხაროდ, ვამართლებთ ლერმონტოვის მოსაზრებას ქართველების „გულადობის“ შესახებ. ვიცოდეთ! მშიშარა ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის.

ინტელიგენცია იმისთვის არის მოწოდებული, რომ ჭეშმარიტებიდან ოდნავ გადახრაც კი უმალვე შეამჩნიოს და ამის შესახებ საჯაროდ განაცხადოს, რათა მწვანე შუქი არ აენთოს არასწორ მოსაზრებებს.

დღეიდან მაინც გული გავიმაგროთ, არ შეგვეშინდეს და ვამხილოთ ცრუპოლიტიკოსები. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, კობა დავითაშვილი და ყველა ისინი, რომლებიც სარგებლობენ ქართველი ხალხის გულუბრყვილობით და თავს პოლიტიკოსებად წარმოიდგენენ.

ბურჯანაძე მოითხოვს საакაშვილის სამაგალითოდ დასჯას და მის მიერ შექმნილი რეჟიმის აკრძალვას. მისი მხრიდან ამგვარი მოთხოვნა ცოტა არ იყოს ღიმილის მომგვრელია. თვითონ იყო ერთ-ერთი (სამიდან) მთავარი შემოქმედი ამ რეჟიმის ჩამოყალიბების და განმტკიცებისა... უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა პარლამენტარიზმის ისტორიაში. ბურჯანაძის ხელიდან (4/08/1998 წ.) გამოდის დოკუმენტი – „რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, სადაც თავი I, I მუხლის 3 პუნქტი, საერთოდ, უარყოფილია, რის შედეგად ასეულ მოქალაქეს პენსია უკანონოდ დაენიშნა.

ბურჯანაძის მომხრეები ავრცელებენ ხმებს, თითქოს მას უნიკალური პროგრამა აქვს. მათი პროგრამა (ისე, როგორც სხვებისა) საზღვარგარეთული პროგრამების უხეიროდ გადმოქართულებული ტექსტებია, რისი პრაქტიკაში დანერგვა კიდევ უფრო დაგვიმძიმებს მდგომარეობას. რაც შეეხება ნათელაშვილს. ნორმალურ სახელმწიფოებში ამგვარ ინდივიდებს არამცთუ პოლიტიკაში, საზოგადოებაში გამოსვლის საშუალებადაც კი არ მისცემენ. თუ ვინმე წინამდებარე წერილში გამოთქმულ მოსაზრებას არ დაეთანხმება, მაშინ უპასუხოს შემდეგ კითხვებს: 1. რომელი პოლიტიკური მიმდინარეობა მიესადაგება საქართველოს დღევანდელობას? რეალობასთან არჩეული მიმდინარობის შესატყვისობა დაამტკიცოს მეცნიერულად, ფილოსოფიურად და სამყაროსეული გაგებით. 2. ზუსტად განსაზღვროს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტი პრობლემები; 3. დაასახელოს კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები; 4. გააანალიზოს მე-20 და 21-ე საუკუნეების ღირსშესანიშნავი მოვლენები, აგრეთვე, შეაფასოს ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსთა საქმიანობა. 5. რა ეწოდებოდა საბჭოთა კავშირში არსებულ პოლიტიკურ ფორმაციას?

რასაკვირველია, დიდი საქმე გააკეთა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა – ხელისუფლებას ჩამოაშორა ქართველთმოძულე საакაშვილი და მისი მომხრეები, აგრეთვე, დიდი საქმეა ფსევდოპარტიებისათვის ფუნქციის დაკარგვა, რაც პოლიტიკაში მისმა მოსვლამ გამოიწვია. ახლა ბატონი ბიძინა მიეშურება იქითკენ, სადაც ეგრეთ წოდებული არასამთავრობოები, დოლარების საფასურად, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან, რათა მათი ქმედებანი გააუვნებელყოს.

ვაჟა ჟღენტი.

◎ რეპლიკა

ქუთაისი მუდამ ქუთაისად დარჩება!

ქუთათური თბილისელების სახელით, პროტესტს ვაცხადებ იმ აბსურდული „მტკიცებულებების“ წინააღმდეგ, რომელიც შეურაცხყოფს ჩვენი მშობლიური ქალაქის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას სრულიად საქართველოს ისტორიაში. ქუთაისს მუდამ ეჭირა თავისი განუზომელი ადგილი საქართველოს გადარჩენის საქმეში და, იმედია, იგი კვლავაც შეინარჩუნებს ამ როლს ქვეყნის კულტურული, დემოგრაფიული, სამრეწველო, სამეცნიერო, სპორტული და სხვა ნებისმიერი ქართული საქმის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, დაუფიქრებელი და შეურაცხმყოფელია მავანთა მიერ იმის „მტკიცება“, რომ თუ საქართველოს პარლამენტი ქუთაისიდან კვლავ დედაქალაქში გააგრძელებს ფუნქციონირებას, ამით ქუთაისი გახდება უფუნქციო, ჩიხი-ქალაქი. საპირისპირო მოსაზრების მქონე ქუთათურებს, თუ ისინი მოისურვებენ, დებატების ფორმებით, სიამოვნებით შევხვდები ჩემს მშობლიურ ქალაქში, მათთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს.

შეეშვით რა, ბიძიებო, „ნაციონალურად“ კაკანს! ქუთაისი ქუთაისად დარჩება!

ანზორ ბაბუხადია,
ქუთათურ თბილისელთა საზოგადოება „ბაგრაგის გაძრის“ თავმჯდომარე.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ზოგიერთები ისეთები არიან, ცოცხი კი არა და პილასოსიც არ დაგენანება.

● პარლამენტში გამოსვლისას, თურმე, თავი უნდა შევიკავოთ ისეთი სიტყვების ხმარებისაგან, როგორიცაა „ჰარამხანა“ და „საყვარელი“.

თვით პარლამენტის თავმჯდომარემ ბრძანა.

რათა, კაცო?!

● ორცოლიანობა გამიგია.

ორშვილიანობაც.

ორსულობაც.

ორგულობაც, ორპირობაც, ორაზროვნებაც, ორჭოფობაც და ორლობეც გამიგია ბოლო-ბოლო.

ახლა ორპრეზიდენტიანობის ხანმოკლე ბედნიერებაც მერგო.

● არც წათრეულა(ნ)!

არც წაშავებულა(ნ)! არც წაბნელებულა(ნ)!

აქ ყრიან და ყარან!

აკი 27-ში კოაბიტაცია დამთავრდებაო!

აკი 27-ში საакაშვილი მთავრდებაო!

აბა დღეს ვინ შეიწყალა მაოხრებელი ძებნილები?!

ბნელა, ტო-ო?!

● ბაქრაძის ცოლი ერთ ღამეში 12 ათასი ლარისას ბაზრობს ბიუჯეტის ხარჯზე..... ზატო უპლავკეებოდ დადის და მისმა ქმარმა თავისი 20-ლარიანი ვაუჩერი სხვას მისცა... ვოოოტ!

● ზუსტად ვიცი, როდის იქნება ამომრჩევლების თითქმის 100%-იანი აქტიურობა - ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე!

ჰოდა, დანიშნეთ, მამაძალი, ამ გაზაფხულზე ადგილობრივ არჩევნებთან ერთად: თქვენც დაისვენებთ და ჩვენც!

● უსამართლო ქვეყანაში გურამ დონაძე სასამართლოს უჩიოდაო. ვაი ჩვენს პატრონს!

● ნიკუშა შენგელაიამ თუ გალახა მაია ორჯონიკიძე, არ გამიკვირდება! ვინაა ეს პრაშმადოვკა მართლა...

გახსოვთ, იზა ორჯონიკიძემ და ბოკერიამ რომ იჩხუბეს ტელეკომპანია მზის ეთერში? ეტყობა, ბოკერიას მხარეს მაგის მერე გადავიდა, აბა დედას არ ელაპარაკებოდა, ისე მოუკვდა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

რა ხდება აბრსკილის მხარეში?

მამუკა არეშიძე:

აფხაზეთში მდგომარეობა რთულდება

ოკუპირებული აფხაზეთი სერიოზული პოლიტიკური შიდა დაპირისპირების ზღვარზე აღმოჩნდა. ერთმანეთს აფხაზეთის ორი ყველაზე გავლენიანი ფიგურა — ე.წ. პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა დაუპირისპირდნენ. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე, ანქვაბის ე.წ. ხელისუფლების სერიოზულ დასუსტებაზე და მოსალოდნელ შიდაპოლიტიკურ ძვრებზე საუბრობს.

— ალექსანდრე ანქვაბმა სტანისლავ ლაკობა თანამდებობიდან გადააყენა. რა ხდება აფხაზეთში ანქვაბსა და ლაკობას შორის?

— ლაკობას ყოველთვის აქვს პრობლემები ყველა ხელმძღვანელთან. ის ასე წავიდა არძინბას ხელისუფლებიდანაც, ბაღაფშის ხელისუფლებიდანაც, ოღონდ მაშინ საკუთარი განცხადების საფუძველზე.

უნდა ითქვას ისიც, რომ ლაკობა იმდენად ავტორიტეტური პიროვნებაა აფხაზეთში, რომ იქნება თუ არ იქნება უშიშროების საბჭოს მდივანი მის სიტყვას მაინც ყურს უგდებენ და მიჰყვებიან. ანქვაბმა კი თავისი დაქვემდებარებული პირის ასეთი სიჯიუტე ასე ვთქვათ - არ იპატია და გაუშვა კიდეც.

მას შესთავაზეს შვებულებაში გასვლაც, თავისი ნებით განცხადების დაწერაც, ისიც ესეც, მაგრამ ლაკობამ ეს პრინციპულად არ გააკეთა იმიტომ, რომ მომავალ კარიერაზე ფიქრობს და აქედან გამომდინარე ეს ნაბიჯი გადაიდგა.

— ლაკობას განცხადებით, მისი დაყენება ქართული მოსახლეობისათვის პასპორტების დარიგებასთანაა კავშირში ...

— რაც შეეხება ამ შემთხვევას. დიახ, ის პასპორტიზაციას უკავშირდება ნამდვილად და ანქვაბმა მას ზუსტად ის არ აპატია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანმა ამ საკითხში მისი მხარე არ დაიჭირა და მის წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი.

პასპორტიზაციის თემა ძალიან ფაქიზია აფხაზურ რეალობაში. ეს საკითხი შემდეგში მდგომარეობს: გალის რაიონისა და საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის ბევრმა მკვიდრმა ქართველმა მიიღო აფხაზეთის მოქალაქეობა, მაგრამ ამავე დროს ბევრ მათგანს აქვს საქართველოს მოქალაქეობაც.

აფხაზეთის კონსტიტუციით, რომელიც საერთოდ მახინჯი და აპარტეიდულია — აფხაზეთის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ აფხაზი.

მოქალაქეობის შესახებ კანონიც სასაცილოა, ორმაგი მოქალაქეობის საკითხში შეიძლება იყო მხოლოდ აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქე, სხვა ქვეყნის — არა. ზუსტად ამის გამო, აფხაზეთის პოლიტ-ელიტის დიდ უმრავლესობას დღევანდელი სიტუაცია აწყობს და არ აწყობს მართლა დამოუკიდებლობა, იმიტომ რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში გაწევრების შემთხვევაში მათ ასეთი კონსტიტუციით არავინ არ მიიღებს არც გაეროში და არც არსად.

ამ კანონებით საქართველოს მოქალაქეს ფორმალურად არ აქვს უფლება პლიუს აფხაზეთის მოქალაქეც იყოს. ეს პოლიტიკურ საყრდენად გაიხადა მაგალითად, რაულ ხაჯიმბას პოლიტიკურმა გუნდმა, იცოდა, რა, რომ ნაციონალისტურად განწყობილ აფხაზურ საზოგადოებაში ეს პოპულარობას მოიპოვებდა და ამ თემის მეშვეობით შეუტია ანქვაბს.

ხაჯიმბა, მოგეხსენებათ, ამ ბოლო წლების განმავლობაში, ყველა არჩევნებს აგებს, ამიტომ მას სჭირდებოდა ისეთი პოლიტიკური თემა რომელიც დივიდენდებს მოუტანდა და შეარჩია კიდეც ეს თემა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯერ ხომ ქვეყანა შეყარა ამ ამბავზე, მერე პლიუს მისი აქტივისტები დადიან გალის რაიონში, ართმევენ აფხაზურ პასპორტებს იქაურ მცხოვრებლებს და ანადგურებენ. სხვათა შორის ისინი მაინცდამაინც არ უყურებენ საქართველოს მოქალაქეები არიან მცხოვრებლები თუ მარტო აფხაზეთის — მოკლედ აქტიურობენ.

ლაკობა ხაჯიმბას ამ პოლიტიკურ თემას გამოეხმაურა და ბუნებრივია, დაიჭირა მისი მხარე.

ხოლო ანქვაბის პოზიცია — სახელმწიფოებრივი მიდგომაა (მათი მხრიდან). ანქვაბი ფიქრობს არა იმაზე, რომ კანონი ზედმიწევნით შესრულდეს, არამედ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი პრობლემა მოხსნას გალის რაიონში აფხაზეთისათვის და ამიტომ ის ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი ქართველი აქციოს აფხაზეთის მოქალაქედ.

მიუხედავად იმისა, ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს ნამდვილად სახელმწიფოებრივი მიდგომაა მისი მხრიდან, ხოლო ჩვენ ამას რომ არ მივიღებთ — ეს სხვა საკითხია.

ანქვაბი ამას ცოტა სხვანაირად აფასებს: ის ფიქრობს, რომ მისი ხელისუფლება შესუსტდა და ლაკობამ, რომელიც მის გუნდში მოიაზრებოდა, დღეს გადაწყვიტა, რომ „ლამაზად“ განუდგეს მას და ამიტომაც აყვა ამ ტალღას,. თორემ, წინა წლებში, როდესაც ეს ამბავი ხდებოდა გალის რაიონში და ეს კანონი კარგა ხანია, მუშაობდა — ლაკობას ამის თაობაზე ხმა არ ამოუღია.

ახლა, უცებ, ბოლო რამდენიმე თვეა ამის თაობაზე გააქტიურდა.

— ლაკობა არ არის ისეთი ადამიანი, რომ ასე იოლად აყვეს რაღაცას...

— იცით რაშია საქმე, ეს მართალია, მაგრამ მეორეს მხრივ ნუ დაგვავიწყდება, რომ ლაკობა ყოველთვის განეკუთვნებოდა განსაკუთრებით ნაციონალურად განწყობილ აფხაზური პოლიტიკური ელიტის ფრთას. მისი შემრიგებლური პოზიცია ძალიან ეფემერული იყო.

მე მასთან პირადად მქონდა შეხება ერევანში და მისთვის ძალიან რთული იყო ჩვეულებრივი არასამთავრობო სექტორის მუშაობის დროსაც კი ჩვენთან კონტაქტი. არ უნდოდა უბრალოდ - გამარჯობა-გაგიმარჯოს დონეზეც კი ვერ ვკონტაქტობდით. პიროვნებაა ეგეთი, რომელიც ან უნდა მიიღო ან ვერ უნდა მიიღო. მე — ვერ მივიღე.

რასაკვირველია ის არის მცოდნე ადამიანი, გამოცდილი ადამიანი, აქვს პოლიტიკური ალღო, მაგრამ ნაციონალიზმი ნაციონალიზმია. მე მაგალითად, რა შეცდომები ჩაიდინა ქართულმა მხარემ აფხაზეთთან მიმართებაში, ისიც ვიცი, აფხაზებმა რაც ჩაიდინეს ისიც ძალიან კარგად ვიცი და რუსეთის როლი როგორიც იყო, ისიც ძალიან კარგად. ანუ — ობიექტურად შემიძლია შევაფასო ყველა მხარის ქმედება. ლაკობასთვის ეს რთულია — ის ასეთი პიროვნებაა უბრალოდ.

ანქვაბი მიიჩნევს, რომ სტანისლავ ლაკობა, კონიუქტურული მოსაზრებებით შეუერთდა ხაჯიმბას ნააზრევს, ხოლო ლაკობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთისთვის დამღუპველია, თუ მოხდება ქართველების ასეთი ინტეგრაცია აფხაზურ საზოგადოებაში. მე მიმაჩნია, რომ ლაკობას სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან სერიოზული პრობლემები აქვს.

— რას შეიძლება აპირებდეს ლაკობა? უფრო ღია შიდა დაპირისპირებას ხომ არ უნდა ველოდოთ, სადაც ლაკობა და ხაჯიმბა ერთად იქნებიან. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს?

— დარწმუნებული იყავით, რომ ეს ასე მოხდება. შეიძლება ლაკობა ხაჯიმბას გვერდით არ დაუდგეს, იმიტომ, რომ ხაჯიმბას და ლაკობას შორის თანხმობა რომ ყოფილიყო, ისინი ადრეც იქნებოდნენ ერთად. ლაკობა ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს იყო, ბაღაფში იქნებოდა ეს თუ ანქვაბი. ან ნეიტრალიტეტი ეკავა, ვითომ.

რაც შეეხება პოლიტიკურ დაპირისპირებას. პოლიტიკური დაპირისპირება ბევრად უფრო სერიოზულია დღეს და ბევრად უფრო მყარ მდგომარეობაშია დღეს ხაჯიმბა, ვიდრე 2003 წელს იყო, მაგალითად მაშინ, როცა მან ბაღაფშთან არჩევნები წააგო.

მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა პრეზენტირება გაუკეთა ხაჯიმბას, როგორც აფხაზეთის მომავალ პრეზიდენტს, მას მაინც არ უშველა. არ უშველა არც მერე 2008-ში.

მაგრამ დღეს, ხაჯიმბა უფრო მყარად არის, იმიტომ, რომ კარგი თემა შეარჩია. თან იმ ფონზე, როცა აფხაზური სახელისუფლებო ელიტა მართლა კორუმპირებულია სულით ხორცამდე, თუ შეიძლება ასე ითქვას და ამას ხალხი, აფხაზეთის მოსახლეობა ხედავს და საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები აქვთ ანქვაბის მიმართ. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მიტინგი გაიმართა, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ანქვაბის წინააღმდეგ სოხუმის ცენტრალურ მოედანზე და რომ არა ანქვაბის სწორი ნაბიჯი, მაშინვე შეიძლება დამთავრებულიყო მისი ხელისუფლება. ანქვაბი მაშინ ამ მიტინგზე მივიდა და დაელაპარაკა ხალხს. აფხაზები, როგორც ყველა კავკასიელები, ვაჟკაცურ ნაბიჯს აფასებენ და მათ ეს ანქვაბს დაუფასეს. მაშინ ეს ამბავი ჩაიფარცხა, მაგრამ ძალიან სუსტი იყო ანქვაბი, საქართველოზე გამარჯვების მორიგი წლისთავის ზეიმისას.

მან ძალიან სერიოზული შეცდომები დაუშვა. თავის საზეიმო გამოსვლაში, ერთი სიტყვით არ ახსენა ჩრდილოეთკავკასიელები და ამან საშინელი აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით, ჩერქეზულ ხალხებში და მეორე ის, რომ აღლუმის დროს მოედანზე გამოჩნდა რუსული ნახევრად სამხედრო და ნახევრად პოლიტიკური შენაერთი „ჩორნაია სოტნია“, რომელიც უაღრესად უარყოფით ასოციაციებს იწვევს აფხაზურ საზოგადოებაში. თან ეს ორგანიზაცია საიდანღაც რუსეთიდან ჩამოყვანეს. მოკლედ ძალიან არასასიამოვნო მდგომარეობაში იყო მაშინ ანქვაბი.

— ეს მაშინ... და ახლა რა მდგომარეობაშია?

— ახლაც იგივე მდგომარეობაშია. დღეს ნამდვილად არ არის ანქვაბი მომგებიან მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ მე ცოტა ხნის წინათ ვახსენე მისი სახელმწიფოებრივი ხედვის უპირატესობანი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მიმართულებით ის წარმატებით მუშაობს.

დღეს უბრალოდ ანქვაბისთვის და საერთოდ აფხაზეთისთვის არავის ცხელა, იმიტომ, რომ სოჭის ოლიმპიადა აქვს რუსეთს კარზე მომდგარი და არ არის გამორიცხული, რომ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ იქ სერიოზული პოლიტიკური ძვრები დაიწყოს.

თან გავითვალისწინოთ, რუსი დიპლომატის მკვლელობა, იარაღის სამარხების აღმოჩენა, რომელსაც იმარატს მიაწერენ და რომლის გულისთვისაც დააპატიმრეს რუსლან გიცბა და ზოგიერთი სხვა ისეთი ქმედება, რომელიც მოსკოვს აღიზიანებს.

ესე იგი ანქვაბის დღევანდელი მთავრობა აღიზიანებს მოსკოვსაც და აფხაზურ საზოგადოებასაც და მიუხედავად იმისა, რომ ანქვაბს, ბუნებრივია, ჰყავს თავისი მომხრეები, მე მაინც ვფიქრობ, რომ დღეს მისი მომხრეების რიცხვი საკმაოდ შემცირებულია.

ამრიგად, მე გონია, რომ პოლიტიკური დაპირისპირება სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გაიზრდება. შედეგზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

— ეს შიდა აფხაზურ-პოლიტიკური პროცესია გარეშე ძალის ჩაურევლად?

— მე მგონი მაინც შიდაპოლიტიკური პროცესია და ლაკობას გათავისუფლება ორი კვირის წინ უკვე დაგეგმილი იყო.

— თუმცა, ცვლილება არ არის: პასპორტიზაცია შეჩერებულია და ქართველებს პასპორტებს კვლავ ართმევენ.. ასე, თქმა, რომ ლაკობას გადაყენებით ანქვაბის პოზიციამ გაიმარჯვაო, ასე არ არის...

— ასე ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ ანქვაბის პოზიცია ისედაც შესუსტებულია და ლაკობას დაკარგვით კიდევ უფრო შესუსტდება. თუმცა, უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძელში მჯდარი ოპოზიციონერი წარმოუდგენელია და ეს ნონსენსია.

თუმცა, თუ სტანისლავ ლაკობა ოპოზიციონერების რიგებს შეემატა და გამორიცხული არ არის, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს.

ესაუბრა
ეკატერინე მომცელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ტაშისკარისა და ქვიშხეთის გაზიფიცირება დასრულდა

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ აზერბაიჯანული კომპანიის „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარში ახლად აშენებული გაზსადენი გახსნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ენერგეტიკის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრმა და „სოკარ გაზ ჯორჯიას„ წარმომადგენლებმა სოფლის ცენტრში ჩირაღდანი და ერთ-ერთ ოჯახში გაზქურა აანთეს.

კომპანიამ „სოკარ ჯორჯია გაზი“ სოფელ ტაშისკარისა და სოფელ ქვიშხეთის მიმართულებით, 37,5 კმ სიგრძის გაზსადენი ააშენა. ასევე, განხორციელდა სოფლების სრული დაქსელვა, რის შედეგადაც ორივე სოფელში მცხოვრებ 1460-მდე პოტენციურ აბონენტს ზამთრის სეზონის დადგომამდე გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა აქვს.

კომპანიამ სამუშაოები ორ ეტაპად განახორციელა. ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზგამანაწილებელი კომპანიების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოს მასშტაბით 2014 წლის ბოლომდე 86 ათასზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება. გეგმის განხორციელების შემდეგ, გაზიფიცირებული იქნება დამატებით 252 სოფელი და ახალი ინფრასტრუქტურის შექმნაში ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება.

ამასთან, გაზგამანაწილებელი კომპანიები მოსახლეობას ოჯახში ბუნებრივი აირის შესაყვანად საჭირო თანხის რამდენიმე თვეზე გადანაწილებას სთავაზობენ. ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხა თვიურად 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ინტერპრესი

ვინ თქვა, მიშა გადაშენდაო?

„პრეზიდენტმა“ ბოლომდე აურია!..

„სააკაშვილი კრიმინალთა შეწყალებით ამტკიცებს, რომ ქილერების უკან თვითონ დგას!“

იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ძიმცეიშვილი, საპატრულო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი მაიზერ ლიპარტელიანი — ეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ახლახან შეწყალებული პირების არასრული ჩამონათვალია. მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის უფლებამოსილებას ბოლო წუთებამდე იყენებს და საპატიმროებიდან განსაკუთრებით მძიმე ბრალდებების მქონე პირებსაც ათავისუფლებს.

ოფიციალური ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა 29 ოქტომბერს სულ 248 მსჯავრდებული შეიწყალა. მათგან 170 სასჯელისგან სრულად გათავისუფლდა. 56-ს სასჯელი გაუნახევრდა, 5-ს კი შეუმსუბუქდა.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სიაში მოხვდა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერის, მაია ორჯონიკიძის შვილი ცოტნე მამულაშვილიც. მან გლდანის საპატიმრო წუხელ გვიან ღამით დატოვა.

— ულრმესი მადლობა ჩვენს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მან მე, ფაქტობრივად, სიცოცხლე დამიბრუნა! დიდი მადლობა, ჩემო პრეზიდენტო — უფალი იყოს შენი და ჩვენი ქვეყნის მფარველი!, — ამ სიტყვებით გამოეხმაურა საპატიმროდან შვილის გათავისუფლებას მაია ორჯონიკიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

რაც შეეხება ყოფილ მაღალჩინოსნებს — დავით ადეიშვილსა და ნიკოლოზ ძიმცეიშვილს, ისინი საპატიმროში არ მსხდარან და დღემდე ძიებაში იმყოფებოდნენ.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ძმას დავით ადეიშვილს თელავის რაიონულმა სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა, დაუსწრებლად, 2013 წლის 2 სექტემბრის განაჩენით გამოუტანა, მას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედებოდა.

თავისუფლების აღკვეთა ასევე დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მოადგილეს, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის თინა ბურჯალიანის მეუღლეს ნიკოლოზ ძიმცეიშვილს, მას ბრალი დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ჰქონდა წაყენებული.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორკვირიანმა პატიმრობამ მოუწია ბუტა რობაქიძის საქმესთან კავშირში მყოფ პოლიციის ყოფილ მაღლჩინოსანს მაიზერ ლიპარტელიანს, მის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი 16 ოქტომბერს გამოიტანა — რობაქიძის საქმეზე მოწმედ დაკითხვის დროს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის გამო.

პრეზიდენტის მიერ საკუთარი მხარდამჭერებისთვის დანაშაულის პატიება და პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება სიახლე არ არის. მიხეილ სააკაშვილმა ორიოდე თვის წინ ასევე შეიწყალა და სამეგრელოს გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშნა სახელმწიფო ქონების მითვისებაში ბრალდებული თენგიზ გუნავა. პრეზიდენტის პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია კი სააკაშვილის შეწყალების სიაში იმიტომ ვერ მოხვდნენ, რომ მათ წინააღმდეგ სასამართლოში საქმეების განხილვა კვლავ გრძელდება.

სასჯელაღსრულების მინისტრი **სოზარ სუბარი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სასამართლოსა და ხალხის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ნაბიჯს უწოდებს და მორალური თვალსაზრისით გაუმართლებლად მიიჩნევს.**

— როდესაც ადამიანს, რომელსაც ერთი დღე არ გაუტარებია საპყრობილეში — შეიწყალებ, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და უნდობლობა იმ სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რითაც წლების განმავლობაში თვითონ ამაყობდა, ეს არის პირდაპირი ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში, — განაცხადა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ციხეში აღარ დაუტოვებია კრიმინალები“, — ასე აფასებს For.ge-სთან საუბრისას პრეზიდენტის მიერ ასობით მსჯავრდებულის შეწყალებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე. მისივე თქმით, სააკაშვილის მიერ შეწყალებული ადამიანები ბევრ დანაშაულში არიან ეჭვმიტანილები და მათ ადრე თუ გვიან, საპატიმროებში შებრუნება მოუწევთ.

— სააკაშვილმა გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, რომელიც გააჩნდა და რომელიც ქვეყნის დანგრევასა და გაჩანაგებას ისახავდა მიზნად. ეს შეწყალებაც ამ პოლიტიკის ნაწილია. იმედი მაქვს, რომ მოქმედი ხელისუფლება ხელმეორედ დააკავებს ამ ადამიანებს იმ დანარჩენი ბრალდებებისთვის, რომელიც მათ აქვთ ჩადენილი, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე კი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი იმ ადამიანებს იწყალებს, ვისი ხელითაც ცუდი საქმეები გააკეთა და ახალგაზრდა ბიჭები დახოცა.

— სააკაშვილი, ალბათ, ფიქრობს, რომ კიდევ მოვა ხელისუფლებაში და ეს ხალხი კიდევ დასჭირდება. ამით ამტკიცებს, რომ წლების განმავლობაში თავად იდგა ამ ქილერების უკან. მაიზერ ლიპარტელიანი იყო ერთ-ერთი ქილერი. მას ბუტას საქმის გარდა ძალიან ბევრი ცუდი საქმე აქვს გაკეთებული და რატომ არ იძიებენ, გაუგებარია, — განაცხადა სოსო რობაქიძემ For.ge-სთან საუბრისას და ვარაუდობს, რომ სააკაშვილი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე სხვა პირებსაც შეიწყალებს.

მადლენა მაჭარაშვილი

დაპირისპირება

შიხიაშვილის „შურისძიება“ თუ... საკრებულოს როლის ამაღლება?

თბილისის მერის გარშემო რკალი ვიწროვდება?

თბილისის მერს უფლებამოსილების არეალი ეზღუდება. მოადგილეების, საქალაქო სამსახურების უფროსების, მერიის ადმინისტრაციის უფროსებისა და რაიონების გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემა, ასევე მათთვის უნდობლობის გამოცხადება, თბილისის საკრებულოს კომპეტენცია იქნება. შესაბამისი ცვლილებები „დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ კანონში შედის, რომლის ავტორებიც დეპუტატები ირაკლი ტრიპოლსკი და გია ჟორჟოლიანი არიან.

პარლამენტში ცვლილებების ინიცირება კანონპროექტის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მოხდება — თბილისის მერის პირველი მოადგილეებისთვის, მერის მოადგილებისთვის, მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისთვის, თბილისის რაიონების გამგებლებისთვის და თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისთვის უნდობლობის გამოცხადება.

ცვლილებებით, უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში კი, თბილისის მერი ვალდებულია, თანამდებობიდან გადააყენოს შესაბამისი თანამდებობის პირი. თუმცა, თბილისის მერი უფლებამოსილი არ არის უნდობლობა გამოცხადებული პირი თანამდებობაზე განმეორებით დანიშნოს.

ინიციატივით, თბილისის მერი თანამდებობაზე დანიშვნის თანხმობის მისაღებად საკრებულოს წარუდგენს — მერის პირველი მოადგილის, მერიის მოადგილეების თბილისის რაიონების გამგებლების საქალაქო სამსახურების უფროსების და მერიის ადმინისტრაციის უფროსის კანდიდატურებს. აღნიშნულ პირებს კი, თბილისის მერი თანანმდებობაზე ნიშნავს თანხმობის მიღებიდან 3 დღის ვადაში. ხოლო, თბილისის საკრებულო შესაბამისი კანდიდატურების თანანმდებობაზე დანიშვნის საკითხს განიხილავს, მათი წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში.

დეპუტატების მიერ მომზადებული პროექტით, მერის მიერ წარდგენილი კანდიდატურების დანიშვნაზე თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, ერთი კვირის ვადაში, თბილისის მერი საკრებულოში წარადგენს იმავე ან სხვა კანდიდატურებს. თუ საკრებულო აღნიშნულ პირებს კვლავ არ მისცემს თანხმობას, მაშინ, ერთი კვირის ვადაში, საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი უფლებამოსილია წამოაყენოს ახალი კანდიდატურა, რომელსაც საკრებულო განიხილავს დადგენილი წესით. საკრებულოს მიერ რამდენიმე კანდიდატურის წამოყენების შემთხვევაში კი, გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით.

ამასთან, პროექტით, თუ საკრებულოს წევრთა მიერ წარდგენილი კანდიდატურა ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, თბილისის მერი თანამდებობაზე ნიშნავს მისთვის სასურველ კანდიდატურას.

აღნიშნულ პროექტს „ნაციონალურ მოძრაობაში“ შეფასებები უკვე მოჰყვა.

როგორც For.ge-ს **პალიკო კუბლაშვილმა** განუცხადა, **ეს არის ბრძოლა დედაქალაქში მეტი ძალაუფლების მოპოვებისთვის.**

— როგორც ჩანს, ხელისუფლებას საგანგაშოდ ეჩვენათ ის, რომ თბილისში ნაციონალებს მხარი დაგვიჭირეს. ფაქტია, რომ ისინი მერიის დასუსტებას ცდილობენ, რომელიც პირდაპირი წესით არჩეულია. ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის და აშკარაა შიხიაშვილის შურისძიება“, — განაცხადა კუბლაშვილმა.

პარლამენტი აღნიშნულ ცვლილებებზე მსჯელობას უახლოეს მომავალში დაიწყებს.

თეონა მანაგაძე

წერილი რედაქციას

ფოსტალიონი ნამდვილად გვჭირდება

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე, მასმედიის ზოგიერთ მუშაკებს ფოსტალიონი უწოდა. რა თქმა უნდა, პრესის მუშაკები ფოსტალიონები არ არიან, ეს მე მაგონებს არცთუ ისე შორეულ წარსულს, როცა ქვეყანაში შვეიცარიული საათივით მუშაობდა კავშიგაბმულობის სამინისტრო. სწორედ ამ ზემოხსენებულ ფოსტალიონებს სახლში მოჰქონდათ ახალთახალი ჟურნალ-გაზეთები, პენსია, სასწრაფო დეპეშები, ამანათების ქვითრები და სხვა. თბილისში და რესპუბლიკის ქალაქების სპეციალურ დაწესებულებებში არსებობდა საფოსტო განყოფილებები, სადაც ხდებოდა წერილების, სასწრაფო დეპეშების, შეკვეთილი ბარათებისა და ამანათების გაგზავნა-მიღება. მოსახლეობა აღნიშნულ საფოსტო განყოფილებაში იხდიდა კომუნალურ გადასახადებს — ბინის ქირას, ტელეფონის, ელექტროენერგიისა და სხვა დავალიანებებს.

დღეს, 21-ე საუკუნეში, ყველა ჩემს მიერ ჩამოთვლილი მომსახურების სერვისი გაუქმებულია. თბილისის ქუჩებში თითქმის ვერსად შეხვდებით საგაზეთო ჯიხურებს, ფოსტალიონი ყოველ დილით არ ეწვევა თქვენს სადარბაზოსა და იქ დამონტაჟებულ რკინის ყუთებში არ ჩაუშვებს ახალთახალ ჟურნალ-გაზეთებს.

ჩვენდა სამწუხაროდ, გაუქმდა საფოსტო განყოფილებები. დღეს იმ შენობებში კაფე-ბარები, აფთიაქები, გასტრონომიული მაღაზიებია. რაიონებში ვერ გაგზავნით წერილებს, სასიხარულო თუ სამგლოვიარო დეპეშებს, ამანათებს, ფულად გზავნილებს. ამ სტრიქონების წამკითხავთაგან ბევრი, ალბათ დამეთანხმება, რომ ამ მიზეზების გამო ვერ ვახერხებთ რაიონში დაკრძალვაზე ან ქორწილებში დროულად გამგზავრებას. სწორედ ამ მიზეზით ვერ ჩავედი სოფელში და მონაწილეობა ვერ მივიღე მკვიდრი ბიძაშვილების დაკრძალვის ცერემონიალში. ვიცი, ბევრი მკითხველი გამამტყუნებს, ნუთუ თქვენს სოფელში მობილური ტელეფონი არავის აქვსო? ტელეფონით ყველაფერს ვერ მიაღწევ. ბევრი სოფლისა თუ ქალაქის მუშაკს მისი შეძენის საშუალება არ აქვს. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ახლანდელმა მთავრობამ, კერძოდ კი საქართველოს კავშირგაბმულობის სამსახურმა გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნები. რაც შეეხება ფოსტალიონის მომსახურებას, იგი სულაც არ იყო ჩვენი ზოგიერთი მოქალაქის მასხარად ასაგდები.

შალვა ქირია,

საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

◎ ტურიზმი

ღმერთმაც გვიმრავლოს სტუმარი!

ზაფხულის საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ საერთაშორისო ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის, ფაქტობრივად, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტემპით მზარდი დარგია.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ შარშანდელ საზაფხულო სეზონთან შედარებით ტურისტების რიცხვი დაახლოებით მესამედით გაიზარდა, ხოლო სასტუმროები 20 პროცენტით მეტად დაიტვირთა.

საქართველოში წლეულს ტურისტების რიცხვმა განსაკუთრებით საგრძნობლად მოიმატა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, ერაყიდან. ბევრი ქვეყნიდან, კერძოდ, ერაყიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან ტურისტთა ნაკადი ჩვენში, საშუალოდ, 7-10-ჯერ გაიზარდა, რაც, ცხადია, მეტად სასიხარულოა.

ბუნებრივია, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია საზამთრო კურორტებში მათ მისაღებად სასტუმროების, ინფრასტრუქტურის მზადყოფნა. ამასთან დაკავშირებით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ხნის დაწყებულია. კერძოდ, გუდაურში ორი ახალი სასტუმრო ამოქმედდება, მესტიაში ორ მოქმედ სამთოსათხილამურო ტრასას მესამეც მიემატება, გაისად კი აჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე ახალი სამთოსათხილამურო კომპლექსი ამოქმედდება.

არსებითია, რომ საქართველოს ზამთრის კურორტების პოპულარიზაციის მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საზღვარგარეთ საკმაოდ ფართომასშტაბიან სარეკლამო კამპანიას ეწევა. განსაკუთრებით ინტენსიურია ამ მხრივ აზერბაიჯანში, რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირა ქვეყნებში მიმდინარე პროექტები, რომელთა ფარგლებში ამ სფეროში მოღვაწე მასმედიის წარმომადგენლები საქართველოში ადგილზე ეცნობიან ტურისტულ ინფრასტრუქტურას. წლის დამლევამდე ტურისტული გამოფენები გაიმართება ბარსელონასა და ლონდონში, სადაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფართომასშტაბიან მონაწილეობას მიიღებს.

ბუნებრივია, რომ ზაფხულის თუ ზამთრის პერიოდში უცხო ქვეყანაში დასვენების მსურველთათვის სათანადო საცხოვრებელ პირობებთან და შესაბამისი სერვისის მიღებასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ფინანსური მხარე. ამ საკითხს ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში დიდ ყურადღებას უთმობენ, სადაც შედარებით დაბალფასიანი, სამვარსკვლავიანი სასტუმროების ქსელების განვითარებაზე ზრუნავენ. ამ მხრივ საქართველო სასურველ დონეზე ნამდვილად არ არის, თუმცა ბოლო დროს ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს.

კერძოდ, ახლო მომავალში იგეგმება ქართული სამვარსკვლავიანი სასტუმროების ქსელის „რუმსის“ გაფართოება –ერთ-ერთი მათგანი დღესდღეობით ყაზბეგში მოქმედებს და ზამთარ-ზაფხულ დატვირთულია, მალე კი კიდევ ერთი ასეთი ობიექტი თბილისში გაიხსნება. ამავე ქსელის სასტუმროები შენდება ბათუმსა და ბაკურიანშიც, რაც საშუალო მატერიალური შესაძლებლობების მქონე ტურისტებს უფრო მეტად მოიზიდავს.

ბუნებრივია, რომ ტურისტული ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, უცხოურთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაც. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ სტატისტიკის წარმოება საკმაო სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რაც დამსვენებელთა უმეტესი ნაწილის ტრადიციულად კერძო სექტორში განთავსების სპეციფიკას უკავშირდება. ამ მონაცემთა მოპოვება და დამუშავება კი მეტად შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, თანაც მიღებული შედეგი დიდი სანდოობით გამორჩეული არ იქნება.

რაც შეეხება დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია წლის დამლევამდე თბილისში, პუშკინის სკვერში ტურიზმის ახალი საინფორმაციო ცენტრის გახსნა, რამაც ქვეყნის მიმართ ინტერესის გაღვივებას მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სამომავლო გეგმებშია ასევე გზატკეცილების გასწვრივ კომფორტული დასასვენებელი ადგილების მოწყობა კაფე-რესტორნებით, პარკინგით, ჰიგიენური კვანძებით, ინტერნეტით.

ადრე ვწერდით, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას წლის დასასრულამდე ქვეყანაში დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა შეემუშავებინა. ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ დეკემბერში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, სამუშაოებს კი მსოფლიო ბანკი დააფინანსებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ფანჯიკიძე კარასინის განცხადებას ეხმიანება

საძართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ძალიან კარგია, თუ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პირობებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს რუსეთში ოპტიმიზმით უყურებენ. ასე გამოეხმაურა მაია ფანჯიკიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას.

— ძალიან კარგი თუ ოპტიმიზმით უყურებს, რადგანაც ჩვენ ვართ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრე. მოგეხსენებათ ამ მიმართულებით ბევრს ვაკეთებთ. მე როდესაც მკითხეს, მოხდება თუ არა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — ეს არის ჩემი დიდი სურვილი, რადგან მას წინ უნდა უძღოდეს საქართველოს დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღება, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ოფიციალური მოსკოვი საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პირობებში, საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებას ოპტიმიზმით უყურებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა რუსულ მედიას განუცხადა.

შალვა ნათელაშვილს მოუწოდებს...

შვეიცარიის **საელჩო „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს შალვა ნათელაშვილს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისაგან.**

შვეიცარიის საელჩოს ინფორმაციით, შვეიცარიის ელჩსა და საპრეზიდენტო კანდიდატს შალვა ნათელაშვილს შორის არანაირი შეხვედრა არ შემდგარა.

— შვეიცარიის საელჩოს საქართველოში სურს, მოახსენოს საინფორმაციო წყაროებს, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადება გაკეთებული 2013 წლის 30 ოქტომბერს იმის შესახებ, რომ შედგა შეხვედრა შვეიცარიის ელჩთან, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

სინამდვილეში არანაირ შეხვედრას საქართველოში შვეიცარიის ელჩს გიუნტერ ბეხლერსა და შალვა ნათელაშვილს შორის არ ქონია ადგილი. ასევე, ელჩს არ მიუღია არანაირი სახის ინფორმაცია შალვა ნათელაშვილისგან. შვეიცარიის საელჩო მოუწოდებს ნათელაშვილს, თავი შეიკავოს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისაგან და პატივი სცეს ქართველი ხალხის დემოკრატიულ არჩევანს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ სამომხმარებლო სფერო

უვარგის საქონელს განუკითხავად ვეღარ მოგვყიდიან?

ახლახან რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს ვითომდა „ვადის გასვლასთან“ დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებამ, ეჭვი არ არის, ბევრს გემრიელად მოფხანა გული. თუმცა კი, როგორც რუსეთულ მასმედიის საშუალებებში აცხადებენ, მან „კრემლის ყველა პოლიტიკური დაკვეთა „ფრიადზე“ შეასრულა“. ისე კი, სიმართლე გითხრათ, ონიშჩენკოს სამსახურებრივი უსიამოვნებები ნაკლებად საინტერესოა, მასზე ლაპარაკი მხოლოდ იმიტომ დავიწყეთ, რომ ერთი ასეთი „ავი“ მთავარი სანიტარიული „ნაგაზი“ საქართველოზე ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ სადაა... საამისოდ შესაბამისი სამსახურიც აღარ გვაქვს, მებაჟეებიღა თუ ამოწმებენ იმპორტულ სურსათს, ოღონდ ეგაა, რომ არც სანიტარიული, არც ფიტოკონტროლის ჩასატარებლად საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები არა აქვთ, მარტო მონდომება კი ამ შემთხვევაში სასურველ შედეგს ნამდვილად ვერ გამოიღებს.

სასურსათო საქონლის სამამულო ბაზარი უხარისხო, ზოგჯერ კი სულაც ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტით რომაა სავსე, სამწუხარო ფაქტია. ამის თაობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა კიდეც. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრას საშველი არა და არ დაადგა. ვითარებას კიდევ უფრო მეტად ის გარემოებაც ართულებს, რომ სასურსათო ბაზარზე უვარგისი მარტო იმპორტული კი არა, ადგილობრივი საქონელიც თავზე საყრელადაა, ხოლო როცა ხარისხის კონტროლი ერთიანად მოშლილია, შესაბამისი გამართული სისტემა და სტრუქტურა არ არსებობს, მდგომარეობა კიდევ დიდი ხნის მანძილზე იქნება უცვლელი.

და აი, ვგონებ, მდგომარეობის გამოსწორების იმედი გაჩნდა, რაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის დასრულებას უკავშირდება, რომელსაც დეპუტატები ნოემბერში განიხილავენ. ამ შემთხვევაში ლაპარაკი მხოლოდ არასასურსათო საქონელზეა, სურსათთან დაკავშირებით სხვა კანონი შემუშავდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალი კანონის ერთგვარ თარგად შესაბამისი გერმანული კანონმდებლობაა აღებული. მისი ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი ისაა, რომ **თუ მომხმარებელი ზადიან საქონელს შეიძენს, მას ერთი წლის მანძილზე უფლება აქვს გამყიდველ ან მწარმოებელ ფირმას მისი გამართვა, ან ახლით შეცვლა მოისთხოვოს. ჩვენი ახალი კანონით ყველა მომხმარებელს ნებისმიერ ნაკეთობაზე ორწლიანი გარანტია ექნება, ხოლო შეძენიდან ექვსი თვის განმავლობაში მას არც იმის მტკიცება მოუწევს, რომ ნივთი არ დაუზიანებია, როგორც დღესდღეობით უხდება. დადგენილი იქნება გაყიდულ საქონელზე ორწლიანი გარანტია და მომხმარებლის ექვსთვიანი უდანაშაულობის პრეზუმფცია.** მნიშვნელოვანი სიახლეა აგრეთვე ზადიანი პროდუქციის შეძენით მომხმარებლისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება: დღესდღეობით ახალი ნაკლიანი ნაკეთობის შეძენისას მიყენებულ ზარალს არც გამყიდველი, არც მწარმოებელი არ ანაზღაურებს. **ახალი კანონით კი ამ ზარალის ანაზღაურების წესი მკაცრად რეგლამენტირებული იქნება — ეს პროცედურა გამყიდველს, მწარმოებელს, ან იმპორტიორს დაეკისრება.** ამის განსაკუთრებული მნიშვნელობის მტკიცება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის, ვინაიდან თუკი დღესდღეობით წუნიანი ნივთის შემძენი ზარალის ანაზღაურებას სასამართლოს გზით ეცდება, რადგან სხვა საშუალება, ელემენტარულად, არ არსებობს, უკეთეს შემთხვევაში „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე“ შეიძლება გამოუვიდეს, ან, სულაც, ახალი ნაწარმის ღირებულებაზე რამდენჯერმე მეტის გადახდა მოუწიოს. ევროპის ქვეყნებში მსგავსი კონფლიქტების განსჯა გარკვეული სათანადო უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული სტრუქტურების პრეროგატივაა, რომლებიც მეწარმეთა მხრიდან დარღვევების დადგენის შემთხვევაში სოლიდურ ფინანსურ სანქციებს მიმართავენ. მომავალში მომხმარებლისთვის წუნიანი საქონლის შეძენასა და ამასთან დაკავშირებით ზარალის რომელიმე ფორმით ანაზღაურების მოთხოვნის საჩივარი უფასო იქნება, რაც მეწარმეებზე, გამყიდველებზე თუ იმპორტიორებზე კონტროლს ქმედითს გახდის.

ოთარ მერიშვილი

საინფორმაციო ომები დიდი ხანია მიმდინარეობს. თუმცა, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ XXI ასწლეულის სახეს, გახდნენ მისი საგიზიტო ბარათი. ამის მორიგი დადასტურებაა — სამყაროს მასშტაბის საინფორმაციო ბრძოლები, რომლებიც ჩაღდება ჩვენ თვალწინ სირიის გარშემო.

საინფორმაციო ომების აქტუალურ თემას ეძღვნება „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტის საუბარი მოსკოვის მ.ვ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემების ინსტიტუტის ანალიტიკოსთან, პროფესორ სერგეი რასბორგუევთან.

გაზეთის სტუმარი უდიდესი სპეციალისტია ამ დარგში, არის ავტორი წიგნებისა „საინფორმაციო ომის ფილოსოფია", „სამყაროს მართვა", „არჩევნები ხელისუფლებაში, როგორც საინფორმაციო ექსპანსიის ფორმა", „საინფორმაციო ომის ფორმალური თეორიის შესავალი".

საინფორმაციო ომები – საფრთხე ცივილიზაციისთვის

– ბატონო სერგეი, ვისთან და რა მიზნით წარმოებს საინფორმაციო ომები?

– ისინი წარმოებს ზუსტად ისეთივე მიზნით, როგორც ჩვეულებრივი ომები. მიზანია – რესურსები და სპეციალისტები, რომლებიც გამარჯვებულს რჩება. საინფორმაციო ომი – ესაა სახელმწიფოთა ბრძოლა საინფორმაციო იარაღის გამოყენებით, რომელშიც ვგულისხმობ კონვეიერზე დაყენებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ საშუალებებს. ისინი იძლევიან საშუალებას, მოვახდინოთ აუცილებელი სანახაობის, იდეების გენერირება, გავავრცელოთ და დავნერგოთ ისინი – ადამიანთა ყურებში, თვალებში, გულებში.

– ზოგიერთი ანალიტიკოსი ყოფს ომებს საინფორმაციოს და ომებს აზრობრივს. განმარტავს ასე: „პირველ შემთხვევაში ჩვენ ვცდით მხოლოდ ინფორმაციას, მეორეში –ვახდენთ ცოდნის, წარმოდგენის ინტერპრეტირებას, რაც რთულ და ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს. ეს, კერძოდ, დაკავშირებულია იმასთან, რომ ინსტრუმენტარიის მიხედვით აზრობრივი ომები წინ სწევენ თავიანთ იდეებს არა პირდაპირ, არამედ ფონის რეჟიმში... ამიტომ აზრობრივი მოქმედებები შეიძლება გაგრძელდეს საინფორმაციო შეტაკებების არარსებობის შემთხვევაშიც. მაგალითად, დღეს სულ უფრო და უფრო ხშირად შეინიშნება ტაქტიკური საინფორმაციო ოპერაციებიდან გავლენის სტრატეგიასა და ოპერაციებზე გადასვლა". ეთანხმებით ასეთ გრადაციას?

– ვცდილობ, ყოველთვის მხარი დავუჭირო კლასიკურ წარმოდგენებს. ტერმინი „საინფორმაციო" განსაზღვრავს იარაღის პრიორიტეტს. ქიმიური ომი–ესაა ომი ქიმიური იარაღით, ბირთვული ომი – ომია ბირთვული იარაღით. საინფორმაციო ომი– ომი საინფორმაციო იარაღით. და ეს ყოველივე ხდება ომის ფარგლებში, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის ლექსიკონებში განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფოთა შეიარაღებული ბრძოლა. საინფორმაციო ომი, როგორც წესი, არის საერთოდ ომის შემადგენელი ნაწილი. დიახ,ზოგჯერ არის ეგრეთ წოდებული წმინდა საინფორმაციო ომი, როდესაც არანაირი სხვა იარაღი, გარდა საინფორმაციოსი, არ გამოიყენება. მაშინ ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ საინფორმაციო ომზე.

რაც შეეხება ტერმინს „აზრობრივი ომი", ჩემთვის ის გაუგებარია. აზრები, ჩემი წარმოდგენით, ეს იარაღი არაა. აზრები– ესაა მსოფლმხედველობის საფუძველი, რომელიც მოიცავს მრავალ მიზნობრივ განწყობას მსოფლიოსა და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების სისტემის გამომუშავებით. ამა თუ იმ ინფორმაციის მყარ თავსმოხვევას აზრთა მფლობელებისთვის მივყავართ სწორედ მათი აზრების მოდიფიკაციასთან, ზოგჯერ აზრსაც რომ უკარგავს მათ ცხოვრებას.

არ ვეთანხმები არც იმას, რომ მხოლოდ დღეს შეინიშნება გავლენის პროექტები. პირიქით, ისინი ყოველთვის იყო. იგივე ძლიერი რელიგიური კონფესიები– განა ეს გავლენის პროექტები არაა? უბრალოდ ამოცანები, რომლებსაც ადრე ათობით წლები სჭირდებოდა, დღეს ერთორ წელიწადში წყდება. და ეს იმიტომ, რომ შეიცვალა გარემო. ჩვენ ვცხოვრობთ საინფორმაციო ეპოქაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ ადამიანსა და ადამიანს შორის დგას ტექნიკური საშუალება.

ამავე დროს ნებისმიერი სტრატეგია, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთმანეთთან დაკავშირებულ უამრავ ტაქტიკურ საინფორმაციო ოპერაციას შეიცავს. იქნებ, მათს ფონზე ყოველთვის არ მოჩანს გლობალური მიზანი... მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის რა ოპერაციაა, რომელიც ყველასთვის გასაგებია, მსხვერპლისთვისაც კი.

– მაგრამ განა საინფორმაციო ომები წარმოებს, რათა მოხდეს ადამიანის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების მთელი ელიტის ქცევის გადაპროგრამირება აგრესორისთვის საჭირო მიმართულებით?

– მიზანია – რესურსები! ელიტა კი – ესაა ინსტრუმენტი, გასაღების ტიპისა, რომელმაც უნდა გახსნას ამ რესურსებში შესაღწევი. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია – ელიტაში გავლენის იმ აგენტების აუცილებელი ოდენობა, რომლებსაც სპეციალურად აყალიბებს აგრესორი იმ ადამიანებისგან, ვისაც მონური ეგოისტური მსოფლმხედველობა აქვს. ასეთი ადამიანები გაჰყავთ საკვანძო პოზიციებზე, საიდანაც შეიძლება განახორციელოს მაქსიმალური ინფორმაციული ზემოქმედება. ეს პოზიციები, როგორც საკვანძო სიმაღლეები, არიან ხელისუფლების სფეროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმირ რაზუმნიმ, რომელიც გარდაქმნის პერიოდში თავად მუშაობდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გამოიკვლია ეს პრობლემა და ჰყვებოდა ხოლმე, თუ ამგვარ აგენტებს როგორ ნერგავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. იმ დროს ეს ზემოდან მითითებით კეთდებოდა. და თუ შემდეგ რა ხდებოდა ამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებით, ჩვენ თვითონ ვხედავთ ჩვენი თვალებით. ისინი უბრალოდ მეორე მხარეს გადადიოდნენ.

– თავისი არსით ეგრეთ წოდებული აქტუალური თოქ-შოუები და ყოვლისშემძლე ტელედებატები არიან მანიპულატიური ტექნოლოგიები?

– თუ ისინი დაკავშირებული არიან საერთო მიზნით, მაშინ კი.

– დიდი რუსი მოაზროვნე ალექსანდრ ზინოვიევი ამტკიცებდა, რომ მედიის ამოცანა დასავლეთის საზოგადოებრიობაშიაო– „დავტენოთ ადამიანების ტვინები ბოლომდე, რათა მათში არ დარჩეს ადგილი არაფერი სხვა რამისთვის და რომ გაქრეს ყოველგვარი სხვა მოთხოვნა „ტვინების ამოქმედებისთვის". ჩანერგო ადამიანთა შემეცნებაში ასეთი ქაოსი, რომ ხალხმა არ შეძლოს მისი გონივრულად მოწესრიგება. დავტენოთ ტვინები შაბლონებით, კლიშეებით, ქარაფშუტობით, ქცევის ნიმუშებით, ცდუნებებით. მკაცრადაა ნათქვამი, ხომ სწორია,არა?

– სწორადაა ნათქვამი.

– მაგრამ თუ სწორია, მაშინ ხომ არაა საინფორმაციო პოლიტიკა ხალხის გამოთაყვანების მიზნით(ზინოვიევის ტერმინია)სამოქალაქო საინფორმაციო ომი ხალხის წინააღმდეგ? თუ საინფორმაციო ომები ხდება მხოლოდ სახელმწიფოებს შორის?

– არის ომები სახელმწიფოებს შორის, არის სამოქალაქო ომებიც. მაგრამ როდესაც სამოქალაქო ომებზე ვსაუბრობთ, ისინი ვიღაცეებს შორის ხდება. მაგალითად, თეთრებსა და წითლებს, წითლებსა და მწვანეებს შორის. დღეს საუბარი სამოქალაქო საინფორმაციო ომების შესახებ, ალბათ, ტერმინოლოგიურად არასწორია, იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ ჰყავს შეიარაღებული საინფორმაციო მოწინააღმდეგე. როგორც დასავლეთის ქვეყნებში არა ჰყავთ, ისე არც ჩვენ. არის მხოლოდ კლასიკური მართვა, რომელსაც ახორციელებს ხელისუფლება, მათ შორის საინფორმაციო მეთოდებითაც, „ტენიან ადამიანის ტვინებს ბოლომდე".

– ჩვენ თვალწინ ჩაღდება საინფორმაციო ომი სირიის გარშემო. იმაში, თუ როგორ წარმოებს იგი, თქვენთვის არის რაიმე ახალი, არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი?

– თუ ამ ომის სცენარზე ვილაპარაკებთ, იგი კლასიკურია. სერია № 1 – გარწმუნებენ, რომ X ქვეყანაში ხელმძღვანელი არის დიქტატორი და ბოროტმოქმედი. სერია № 2 –აჩვენებენ, თუ X ქვეყანაში როგორ იღუპებიან ადამიანები, მათ არაადამიანურად წამლავენ ქიმიური იარაღით. ვის შეუძლია ეს გააკეთოს? სერია № 3 – კეთდება დასკვნა: მხოლოდ ბოროტმოქმედებს შეუძლიათ ეს. ვინაა ბოროტმოქმედი? პასუხი – იხილე სერია № 1 და სასწრაფოდ მიიღე ზომები.

სცენარი სირიაში თითქმის ზუსტად ისეთივეა, როგორც ლიბიაში. ლიბიაში ბანდიტებს ლიბიის ავიაციისა ეშინოდათ, ამიტომ იგი ნატომ წინასწარ გაანადგურა. რაც შეეხება სირიას, აქ ისრაელს სირიის ქიმიური იარაღისა ეშინია, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სირიამ გაანადგუროს თავისი იარაღი მანამ, სანამ მას თავს დაესხმებიან. თავდასხმის მიზეზს კი, სულ ერთია, შემდეგ მონახავენ.

– მიგაჩნიათ, რომ ამერიკელების თავდასხმა სირიაზე გარდაუვალია?

– რთული სოციალური სისტემებისთვის რაიმე გარდაუვალი არ არსებობს. სიკვდილიც კი ჯერჯერობით გარდაუვალია მხოლოდ ცალკე აღებული ადამიანისთვის, მაგრამ არა საზოგადოებისთვის, ხალხის ან ქვეყნისთვის. ყოველთვის შეიძლება მოხდეს რაიმე ისეთი, რომ აიძულოს მსოფლიო სასწრაფოდ მოკიდოს ხელი რაღაც სხვა რამეს. სამწუხაროდ, სირიასთან დაკავშირებით, როგორც ეს ლიბიის შემთხვევაში იყო, გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით, პროცესები სწორედ აგრესიის მიმართულებით ვითარდება...

– თქვენს გამოსვლებში, როდესაც საუბრობდით, რომ „ინფორმაცია, როგორც წყალი, მონახავს ხვრელს", ხაზგასმით აღნიშნავდით, რომ თუ საინფორმაციო ომში მხარს დავუჭერთ თავდაცვით ტაქტიკას, დამარცხება გარდაუვალია. საინფორმაციო ომი ისტორიულ „ფრონტზე", განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მოვლენებთან დაკავშირებით, გრძელდება დიდი ხანია, და მას დასასრულიც არ უჩანს. სექტემბერში შესრულდა 75 წელი მიუნჰენის შეთანხმებისა, რომელიც მნიშვნელოვანი მომენტი იყო ომის გაჩაღების გზაზე. რუსეთში ამ „სახელოვანმა" თარიღმა თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ოფიციალური პროპაგანდა თავს ნებას აძლევს უგულებელყოს ასეთი იუბილეები, ჩნდება ეჭვი: ხომ არ არის ეს დასავლეთთან მიმციობანას თამაში– როგორც გარდაქმნის დროს იყო?

–ერთი მხრივ, ესაა სვლა გარკვეული კურსით. მეორე კი, რომ შენიშნო „სახელოვანი" თარიღები, საჭიროა შესაბამისი მეთვალყურეები, ე.ი. უწყებები, რომლებიც პასუხსიმგებელი არიან ამისთვის, და ჭკვიანი ხალხი მათში. მიუნჰენის შეთანხმებასთან დაკავშირებული ამბავი მოწმობს იმის შესახებ, რომ ამგვარი ორგანოები, რომლებიც პასუხისამგებლები არიან საინფორმაციო დაპირებისთვის, ჩვენ ქვეყანაში კვლავ არაა. ხოლო თუ სადმე არის, მათ „ჩვენი" ხალხი არ ხელმძღვანელობს.

– რამდენად სახიფათოა დღეს საინფორმაციო ომები?

– საინფორმაციო ომები ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ, მთლიანად კაცობრიობის წინააღმდეგ მუშაობენ იმისდა მიუხედავად, თუ ბარიკადის რომელ მხარეს იმყოფება ვინმე ჩვენგანი. საინფორმაციო ომები წალეკავენ იმ ფუნდამენტს, რომელზეც კაცობრიობის ცივილიზაცია დგას.

ოდესღაც ამტკიცებდნენ, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. დღეს კონვეიერზე დაყენებული ცნობიერების ნიმუშები ბევრს საცოდავი ყოფიერებისთვის წირავენ. მოდელები ზეიმობენ, განსაზღვრავენ ემპირიული სამყაროს სუბიექტების ქცევას. თანამედროვე მოდელები ადვილად წერენ ხელახლა ისტორიას. გაიმარჯვა სსრ კავშირმა ნაცისტურ გერმანიაზე, და მთელმა მსოფლიომ დაგმო ფაშისტური რეჟიმი, რომელმაც გაანადგურა პოლონელი ოფიცრები კატინში სმოლენსკის მახლობლად. გაიმარჯვა ნატომ ცივ ომში საბჭოთა კავშირზე,და რუსეთის სახელმწიფო დუმამ დაგმო სსრ კავშირი იგივე პოლონელების თითქოსდა მის მიერ დახვრეტის გამო.

რწმენა ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით ემყარება ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, რომლებსაც ჰქონდათ ან შეიძლებოდა ჰქონოდათ რაიმე დამოკიდებულება ამ ფაქტთან. თუ შეიძლება დაადასტურო, რომ ყველა შესაძლებელი მოწმე გამოუსწორებელი დამნაშავეა,შეიძლება ირწმუნო მხოლოდ ის, რომ ისინი ჩადიოდნენ ძირითადად დანაშაულს. სახელმწიფო დუმაში, როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით დაისვა ასეთი ამოცანა – კვლავაც „ვასხათ ტალახი" საბჭოთა კავშირს, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს. და მან ეს ამოცანა შეასრულა.

– სტალინი და სსრ კავშირის სხვა ხელმძღვანელები სჩადიოდნენ გარკვეულ დანაშაულს, მაგრამ რატომ უნდა აგებდნენ ისინი პასუხს ნაცისტების დანაშაულებისთვის? თანაც როდესაც ეს დანაშაულები სტალინს დააკისრეს, რომელიც დიდი ხანია ცოცხალი აღარაა, ფაქტობრივად დააკისრეს რუსეთს...

– სტალინსა და სხვა ხელმძღვანელებს არანაირი დანაშაულიც რომ არ ჩაედინათ, მათი განკიცხვა მაინც მოხდებოდა, რათა გეგმაზომიერად შეექმნათ შემზარავი მტრის სახე, რომლის გასანადგურებლადაც ნებისმიერი საშუალება ვარგა. ეს საინფორმაციო ოპერაციის აუცილებელი ნაწილია, რომელიც არავის გაუუქმებია. დემონიზირება სტალინისა – სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლისა, რომელმაც დაამარცხა ფაშიზმი, საბჭოთა კავშირის დემონიზირება აუცილებელია არა დემონიზაციისთვის, არამედ თანამედროვეობისა და მომავლისთვის. მომხდარ ამბებს ივიწყებენ, მოწმეები იხოცებიან, არქივებს ხელახლა წერენ. ამ პირობებში ისტორია, ისევე როგორც ნებისმიერი რელიგია, ყალიბდება რწმენაზე დაყრდნობით.

გასაგებია, რა იქნება შემდეგ. მაგალითად, არის მოვლენა – იაპონიის ქალაქების ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა. ვინაა ჯალათი, ვინც ბრძანება გასცა? ბოროტი კომუნისტები თუ თავისუფლებისმოყვარე დემოკრატები? პასუხი ნათელია და დადასტურებას არ მოითხოვს. ვინაიდან მხოლოდ ბოროტმოქმედებს შეუძლიათ ეს.

დღეს საინფორმაციო ეპოქაში სიყალბის შექმნა იოლი გახდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ინტერნეტის წყალობით მათი გავრცელება ძალიან მარტივი გახდა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ინტერნეტში გადასახლდა დღეს სიყალბის მომზადებისა და გავრცელების ძირითადი ცენტრი.

უეცრად რომ, შემდგომი დაპირისპირების დროს, შეერთებული შტატები დაიშალოს მრავალ პატარა სახელმწიფოდ, გადარჩენილები ირწმუნებიან, რომ წყვილი კოშკების განადგურება იყო სინამდვილეში ამერიკის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული 1933 წელს ნაცისტური რაიხსტაგის დაწვის ტიპის პროვოკაცია, და იგი გახდა სიგნალი სისხლიანი მიდგომის დასაწყისისთვის ძველი მსოფლიო წესრიგის ბურჯებზე.

ადამიანს სურს, სწამს, ფიქრობს და საქმიანობს. და თუ ყოფიერების რეალობა შორდება მის მოდელურ ნაგებობებს, მეორე ადამიანი, ვისაც აქვს რესურსები, ასწორებს უკვე არა მოდელს, არამედ სწორედ ყოფიერების ამ რეალობას. ესაა სწორედ საინფორმაციო ომის ყველაზე საშინელი საფრთხე!

თუ მსოფლიოს ახალი წესრიგის „გაბუქებული" მოდელი გახდება საჭირო ახალი ამბებით, მაშინ მათი გულისთვის საქმეში ბირთვული იარაღიც კი შეიძლება ჩაერთოს.

– რისი უნდა ეშინოდეს რუსეთს უახლოეს პერიოდში, რისთვის უნდა ვემზადოთ?

– ყოველთვის უარესობისთვის უნდა ვემზადოთ, თუმცა უკეთესის იმედი უნდა გვქონდეს.

უარესი შეიძლება გამოიყურებოდეს ასე. მაგალითად, აბუნტდნენ ეროვნულ ნიადაგზე რომელიმე ქალაქის მცხოვრებლები და გადაკეტეს ავტომაგისტრალი. და აქ უეცრად ვიღაცამ ამ ქალაქს მიაყენა დარტყმა ბირთვული იარაღით. ვინ? რასაკვირველია, ბოროტმოქმედმა. ბოროტმოქმედი –საკუთარი მთავრობაა, რომელსაც აქვს ბირთვული იარაღი. მაგრამ რახან ასეა, მთელმა მსოფლიო გაერთიანებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს საპასუხო ზომები და მოითხოვოს ბირთვული განიარაღება ან დაიწყოს ომი. საჭირო დადასტურებანი უმალვე შეითხზება. იმ დროისთვის კი, როდესაც გაირკვევა ჭეშმარიტება, საქმე უკვე იქნება გაკეთებული და ჭეშმარიტებას ხელახლა შექმნიან...

– არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს.

Литературная газета

2013 წლის 23-29 ოქტომბერი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილს არსად არ ეძახიან

საძართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა, შეიყვანოს მიხეილ სააკაშვილი დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ნოემბრის ბოლოს გაემგზავრება ვილნიუსში ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების პარაფირებისთვის. ახლა მიმავალ პრეზიდენტს რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, დაესწროს ევროკავშირის სამიტზე საპატიო სტუმრის სტატუსით თავად ორგანიზატორების მიწვევით. ამ დროს იგი ეწევა რისკს, არ მოხვდეს არა მხოლოდ ვილნიუსში, არამედ საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც კი.

იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ შეძლებს ჩავიდეს ვილნიუსის სამიტზე საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ.

„ლიტვის პრეზიდენტმა სამიტზე ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიწვია“, — განმარტა მან. მისი სიტყვებით, ოფიციალური დელეგაციის ფორმატი განსაზღვრეს ორგანიზატორებმა ფორმულით — 1 პლუს 2, პლუს 5. **„ეს ნიშნავს, რომ დელეგაციაში მიწვეული არიან სახელმწიფოს მეთაური, ორი მინისტრი, აგრეთვე ხუთ კაცს შეუძლია თვალყური ადევნოს მიმდინარე მოვლენებს მონიტორით ფოიეში, — გვითხრა ქალბატონმა ფანჯიკიძემ, რომელსაც აშკარად მხედველობაში ჰყავდა მიხეილ სააკაშვილი, და დაუმატა: — თუ ვინმეს სურს, გაემგზავროს ვილნიუსში ტურისტად, მაშინ ყველამ იცის, სად იმყოფება ეს შესანიშნავი ქალაქი“.**

მიხეილ სააკაშვილს ძალიან დიდი იმედი ჰქონდა, რომ ახალი ხელისუფლება გაითვალისწინებდა მის დამსახურებას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში და შეიყვანდა დელეგაციაში ერთ-ერთი მინისტრის ნაცვლად. როდესაც დარწმუნდა, რომ ეს იმედი არ გაუმართლდებოდა, იგი გაფრინდა ბრიუსელში, სადაც შეხვდა ევროკომისიის ხელმძღვანელს ჟოზე მანუელ ბაროზუს.

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილმა ევროკომისიის ხელმძღვანელს აგრძნობინა, რომ მოხარული იქნებოდა, თუ მიიღებდა ევროკავშირისგან მოწვევას ვილნიუსში „საპატიო სტუმრის“ სახით. და, ეტყობა, თავისი სურვილის დამატებითი არგუმენტაციისთვის მიმავალმა პრეზიდენტმა კვლავ ბრალი დასდო რუსეთის ფედერაციას ბოროტი გეგმების გამო მისი მისამართით. **„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაციის პირობად მოსკოვი მოითხოვს ივანიშვილის მთავრობისგან ჩემ დაპატიმრებას“,** — დაარწმუნა ევროკომისარი მიხეილ სააკაშვილმა.

ჟოზე მანუელ ბაროზუ სერიოზულად მოეკიდა მიმავალი პრეზიდენტის შესაძლო დაპატიმრებას და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას „უარი თქვას შერჩევით მართლმსაჯულებაზე“. სხვათა შორის, ევროკომისიის ხელმძღვანელმა არანაირი კომენტარი არ გაუკეთა საკითხს ევროსაბჭოს სამიტზე მიხეილ სააკაშვილის მიწვევასთან დაკავშირებით.

ამ დროს მიხეილ სააკაშვილი შეიძლება ვერც საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ინაუგურაციაზე მოხვდეს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ უკვე განაცხადა, რომ სააკაშვილის **„ადგილი არ არის მარგველაშვილის ინაუგურაციაზე“. და ისიც დაუმატა: „მე, მაგალითად, დაუყოვნებლივ წავალ იქიდან, თუ იგი მოვა“.**

Коммерсант

◎ უცხოელის თვალით დანახული სინამდვილე

სამხრეთი ოსეთის საზღვართან ომიდან ხუთი წლის შემდეგ

ძართული სოფლის დიცის მცხოვრებლებს დღეს რთული დრო უდგათ. ეს სოფელი სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ესაზღვრება. თვენახევრის წინ მეორე მხარეს დაბინავებულმა რუსმა სამხედროებმა ტერიტორიაზე საზღვრის აღრიცხვა გადაწყვიტეს და საკუთარი ნებასურვილით გავლებულ ხაზთან მავთულხლართების გაბმა დაიწყეს. ეს მწვანედ შეღებილი ღობე ჩარაზული კარით მთელ სოფელს სასოწარკვეთაში აგდებს. ადგილობრივი მცხოვრებლები ჩივიან, რომ მათ გზა გადაუკეტეს სასაფლაოების, მინდვრების და წყლით მომარაგების წყაროებისკენ, რომელიც მეორე მხარეს აღმოჩნდა.

მარცხნივ ღობე რამდენიმე ასეულ მეტრზეა გავლებული, მაგრამ მარჯვნივ მოულოდნელად წყდება. რისთვისაა ის საჭირო? **„ნებისმიერ შემთხვევაში, აქ უკვე ვერავინ გაივლის. საქართველოდან ოსეთში მოხვედრა შეუძლებელია“,** — ამბობს დიცის პოლიციის განყოფილების უფროსი.

მაგრამ რა მიზანი აქვს ნებიჯს დღეს, როდესაც საქართველოს ახალი ხელისუფლება დიდ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს? მოსკოვს თავში მხოლოდ მავთულხლართები და ღობეები აქვს? პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვარაუდობს, რომ დაძაბულობის ზრდა უკავშირდება დამდეგ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს სოჭში, რომელიც აფხაზეთის საზღვრიდან 20 კილომეტრშია.

„ყველაფერი რაც ახლა ხდება, მათ შორის მავთულხლართების გაბმა, თამაშებთან არის დაკავშირებული. დღეს მთელი რუსეთი იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე ეს ოლიმპიადა მშვიდობიანად ჩაატაროს. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს და დავეხმარებით მათ“, — განაცხადა მან ღობის გამოჩენის შემდეგ.

დღემდე მთელ რეგიონს ატყვია ის იარები, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა დატოვა. კონფლიქტი სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის გამო გაჩაღდა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიის 20% მოსკოვის კონტროლის ქვეშ გადავიდა. თბილისი-



გორის გზაზე უამრავი დასახლებაა, სადაც ოსეთიდან დევნილები განათავსეს (26 000 ადამიანი). დემარკაციულ ხაზთან ახლოს, ძალიან სევდიანი პეიზაჟია: სახლები ნანგრევებშია, ბაღები და მინდვრები — მიტოვებული, აქა-იქ ომის დროს დაღუპულთა საფლავებია.

სოფელ ხურვალეთის მცხოვრებლები თავს ალყაში მომწყვდეულებივით გრძნობენ. **„ადრე ჩვენ მშვიდად შეგვეძლო ნებისმიერ სოფელში გადასვლა, მაგრამ ახლა არაფერი აღარ გამოვა. აქ იმდენი შერეული ოჯახია“,** — ამბობს სოსო ხუროშვილი. სარწყავი წყალი, რომელსაც აქ იყენებენ, სამხრეთი ოსეთის დედაქალაქიდან, ცხინვალიდან მოდის, და მას ხშირად კეტავენ.

სოფლის გასასვლელთან სეპარატისტული რესპუბლიკის მიმართულებით ორი წლის წინ რუსმა ჯარისკაცებმა (რა თქმა უნდა, ცალმხრივად) მავთულხლართები გააბეს. რის გამოც ვალენტინა და დავით ვანიშვილების სახლი და ბაღი მოულოდნელად ოსეთის ტერიტორიაზე, ღობის მეორე მხარეს აღმოჩნდა. **„მე ვეღარ გადავდივარ საზღვარზე და ვერ ვიღებ პენსიას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო მიხდის. ოსეთი არაფერს გვაძლევს. როგორ ვიცხოვროთ აქ?“,** — შეწუხებულია დავითი.

პენსიონერი ყველა თავისი პრობლემის შესახებ გვიყვება, რაც აშკარად არ მოსწონთ რუს ჯარისკაცებს. **„დღეს დილით მომაკითხეს, საყელოში მომქაჩეს და ქუდი პირში ჩამიტენეს“,** — ჩივის დავითი. ის შეშინებული იხედება იმპროვიზირებული კაზემატისაკენ, სადაც რუსი ჯარისკაცები იმალებიან ოფიციალური პირების და ჟურნალისტების ჯგუფის მოლოდინში. ჯგუფს ქართული პოლიცია ახლავს.

„წადით, თორემ კარგი დღე არ დამადგება“, ამბობს ის. მისი მეუღლე უფრო ენაწყლიანია: „აქ უკვე 37 წელია ვცხოვრობთ. და ასეთი რამ არასდროს გვინახავს. რუსი ჯარისკაცები გვაკონტროლებენ, ყველა ჩვენ ნაბიჯს უთვალთვალებენ. ახლა დაიმალნენ, მაგრამ როგორც კი წახვალთ, მოგვაკითხავენ“.

სეპარატისტულმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოაცხადა, თუმცა ფინანსურად და ეკონომიკურად თითქმის მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. აქ განათავსეს ათასობით რუსი ჯარისკაცი, შექმნილია რამდენიმე ბაზა. კრემლი ცდილობს, საქართველო დაარწმუნოს, გაწევრიანდეს საბაჟო კავშირში, გაერთიანებაში, სადაც რუსეთი ყაზახეთი და ბელორუსი შედიან, და ხელი არ მოაწეროს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, მაგრამ როგორც ჩანს, მისთვის ნაცნობი ერთადერთი ენა — ძალის ენაა.

მოსკოვის გზავნილი საკმაოდ მკაფიოა. თუკი ვილნიუსის დამდეგ სამიტზე თბილისი არჩევანს ევროკავშირთან პარტნიორობის სასარგებლოდ გააკეთებს, თბილისი უნდა მოემზადოს რეგიონული არასტაბილურობის ზრდისთვის. ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია თვალს ადევნებს სიტუაციას, თუმცა მას გავლენისთვის არც რესურსი და არც უფლებამოსილება არ აქვს. **„ევროპელები, რა თქმა უნდა, გვეხმარებიან, მაგრამ სიტუაცია ჩიხშია მოქცეული, თანაც, ვფიქრობ, დიდი ხნით“,** — ამბობს გორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პაპუნა კობერიძე.

მარი ეგო

Le Monde.fr

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი** (KRRIP)

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P117152**

სატენდერო დოკუმენტის/ კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **KRRIP/CS/SSS-01**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **კახეთის რეგიონში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება (ეტაპი II)**

ტენდერის სახეობა: **ერთ პირთან მოლაპარაკება**

კონტრაქტორი: **შ.პ.ს. „პროექტმშენკომპანი“**

მისამართი: **44ა იყალთოს გორა, თბილისი, 0194, საქართველო.**

კონტრაქტის ღირებულება: **75,756.00 ლარი** (სამოცდათხუთმეტი ათას შვიდასორმოცდათექვსმეტი ლარი და ნული თეთრი.)

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **95** (ოთხმოცდათხუთმეტი) **დღე.**

— — — — — — —

Contract Award Notification

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: Georgia
Project Number: 117152

Bid/Contract Reference No: KRRIP/CS/SSS-01
Scope of Contract: **The preparation of Design and Bidding Documents for Small-Scale Road Safety Improvements in Kakheti Region (Stage II)**
Bid type: **Single Source Selection**
Contractor: **Ltd. “Proeqtmshenkompani”**
Address: **44a, Ikhalto Gora, Tbilisi, 0194, Georgia.**
Total contract cost: **75,756.00 GEL** (Seventy Five Thousand, Seven Hundred Fifty Six Georgian Laris and Zero Tetris.)
Contract duration: **95** (Ninety Five) **days.**

ისტორიკოსებო, რა გემართებათ?!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსული საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის უსახური ენა და მძიმე სტილი საკმაოდ ვრცლად იყო გაკრიტიკებული „საქართველოს რესპუბლიკაში“. სულ ახლახან გამოვიდა ერთტომეული (2012), რომელიც შეუდგენიათ ბატონებს დავით მუსხელიშვილს, მიხეილ სამსონაძესა და ალექსანდრე დაუშვილს. იმედი გვქონდა, რომ იგივე ავტორები ამჟამად მაინც გაითვალისწინებდნენ იმ მწვავე შენიშვნებს და ამ მხრივ საქმეს გამოასწორებდნენ. მით უფრო, რომ პარლამენტი აპირებს ეროვნული ენის დასაცავად გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას. სამწუხაროდ, ამ მოსალოდნელი დიდი საქმის კვირაძალზე მითითებულ სამეულს არათუ გამოუსწორებია ძველი ხარვეზი, არამედ, პირიქით, ნარკვევების ენა და სტილი კიდევ უფრო გაუფუჭებია. ავტორთა კოლექტივს არ აუყვანია რედაქტორ-სტილისტი და ეს ერთობ ავად დასტყობია წარმოდგენილ ტექსტს. წიგნში ყველა ის ენობრივი შეცდომა და გადაცდომა იყრის თავს, რაც საერთოდ ახასიათებს დღევანდელ უსწორო მეტყველება-მართლწერას.

შეცდომა-ხარვეზთა მძლავრი ნაკადი იგრძნობა უკვე სატიტულო და საინფორმაციო გვერდზე. წერია: **„როგორც საზოგადოებისთვის, ისე სპეციალისტებისთვის** (2). თანდებულია ეგ უსაგნო ტავტოლოგია მეორდება სხვაგანაც (3). მთელ წიგნში ასეა, მაგრამ ნიმუშად ეს ავიღოთ: **სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ** (5).

რა საჭიროა ორი თანდებული?!

უნდა ყოფილიყო: **როგორც საზოგადოების, ისე სპეციალისტებისათვის; ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ...**

მეორე სიტყვისათვის დართული „თვის“ (ან კიდევ „კენ“) პირველსაც ეხება.

ამგვარი ზედმეტი თანდებულები უაზროდ ზრდის ტომის მოცულობას.

სწორია არა **„მტრებთან ბრძოლა“** (ეს გულისხმობს მტრისათვის ხელის შეწყობას), არამედ **„მტრების წინააღმდეგ ბრძოლა“.**

ერთტომეულში კი მხოლოდ მცდარი შესიტყვებები გვხვდება და არც ერთხელ მართებული. მაგალითად, **„მრავალრიცხოვან მტრებთან“** ბრძოლა (3); **„რეჟიმთან ბრძოლას“** (3).

საერთოდ, მცირე წინასიტყვაობა დაწერილია მეტად უგერგილოდ. არის წინააღმდეგობრივი გამოთქმებიც კი. ესე იგი, ავტორებს სათანადო შრომა არ გაუწევიათ, ყურადღებით არ წაუკითხავთ იგი. მაგალითად, სატიტულო ფურცელზე წერია, რომ აქ მოთხრობილია ამბებიო **„უძველესი დროიდან 2009 წლამდე“** (1); მე-2 გვერდზე კი სხვას რასმე გვამცნევენ: **„მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2008 წლის აგვისტომდე“** (3).

რომელი მითითება ვირწმუნოთ?

მეორეც, ავტორმა, შესაძლოა, განაცხადოს — ამბები მოკლედ არის გადმოცემულიო. ეს თავისქება და ტრაბახი როდია, ოღონდ რანაირად შეიძლება გამოიყენოს ტერმინი მკაფიოდ? რა იცი, მკაფიოდ წერს თუ არა?!

ჩვენ სწორედ იმას დავამტკიცებთ ახლა, რომ ამ ტომში ამბები და ფაქტები გადმოცემულია არა მკაფიოდ, არამედ ბუნდოვნად.

აგერ ნიმუშიც. წერია: **„ხელმძღვანელებმა გამოამჟღავნეს თავისი ზრახვები“** (3). თუა **„ხელმძღვანელი“**, მაშინ სწორია **„თავისი“,** ოღონდ, როცა გვაქვს **„ხელმძღვანელებმა“,** მაშინ უნდა ყოფილიყო **„თავიანთი ზრახვები“.**

იმავე წინასიტყვაობაშია **„კოლონიალური“** (3). ეგ რუსულის კალკია. უნდა ყოფილიყო **„კოლონიური“**; იქვეა **„სხვადასხვა მეთოდებს“** (4). უნდა **„სხვადასხვა მეთოდს“.**

სრულიად ბუნდოვანია და არა „მკაფიო“ ეს განაცხადი: **„ხალხი დამოუკიდებელ ბრძოლას არ წყვეტდა და ამ ბრძოლაში სხვადასხვა მეთოდებს იყენებდა, რასაც ჩვენი თანამემამულეების მაღალი კულტურულ-პოლიტიკური დონე ასაზრდოებდა“** (4).

გამოდის: „სხვადასხვა მეთოდებს“ თანამემამულეთა მაღალი კულტურულ-პოლიტიკური დონე ასაზრდოებდა.

სრულიად გაუგებარია, ბუნდოვანი და გაუმართავია ფრაზა: **„მრგვალგეგმიანი ოთახი გაიწმინდა კერით, სამეურნეო ორმოებით“** (15).

ვინ გაიგებს, რისი თქმა სწადიათ?!

ასევე ენობრივი აბსურდია: **„პრობლემების დიდი სირთულე, ცხადია, მოხსნილი არ არის** (17).

ჯერ ერთი, არ ვარგა **„დიდი სირთულე“,** მაგრამ უარესია **„დიდი სირთულე მოხსნილი არ არის“.**

ასევე „არამკაფიო“ განაცხადია: **„საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობას მოწმობს“** (21).

ყველაფერი ცხადი (მკაფიო) გახდებოდა, რომ მოემარჯვებინათ საჭირო სიტყვა — განსახლება: **„განსახლებას მოწმობს“.**

ბუნდოვანებას (არამკაფიოობას) ქმნის ზოგი ტერმინის არცოდნა ან უადგილო ადგილას მომარჯვება, წერია: **„სარგისის ჯარებმა კვლავ სძლიეს ქართველ ეპიგონებით გამაგრებულ და გულმოცემულ მონღოლებს“** (239).

ეჭვი არავის ეპარება: აქ **„ეპიგონები“** უსწოროდ არის გამოყენებული.

ამ კატეგორიის შეცდომაა: **„ცენტრალური დედაბოძი“** (28).

ავტორებს არა სცოდნიათ, რომ ტერმინი **„დედაბოძი“** უკვე ნიშნავს **ცენტრალურსაც!**

ბუნდოვანების კვამლით სხვებს არც ეს ციტატა ჩამორჩება: **„საუკუნეების მანძილზე მრავალ უბედურებაგადატანილი ხელოვნება ვერ შეედრებოდა იმას, რაც აყვავების ხანაში საქართველოში ხდებოდა“.**

რთული ქვეწყობილი წინადადების პირველი წევრი სულ სხვაგანაა, მეორე — სულ სხვაგან. აზრობრივად მათ საერთო არაფერი აქვთ!

მეორეც, **ხელოვნება ვერ იქნება უბედურებაგადატანილი. ასეთი შეიძლება იყოს ხელოვანი, პიროვნება, ხალხიც.** ამგვარი ხალხის მიერ შექმნილ ხელოვნებაზე არ შეიძლება ითქვას, უბედურებაგადატანილიაო. მართლაც, დიდად ჭირნახადია, უბედურებაგადატანილია დავით გურამიშვილი, მაგრამ მისი პოეზია ასეთივე როდია!

მესამეც, საშინელი სტილისტური უხამსობაა „ში“ თანდებულის ასეთი გამეორება: **„ხანაში საქართველოში“.**

უნდა ყოფილიყო — **„ხანის საქართველოში“.**

პირდაპირ სასაცილ-სახარხარაოა ასეთი მკვდრადშობილი ფრაზა: **„დიდ გავრცელებას იძენს აგური“** (316).

დახეთ, რა საოცრება მომხდარა: აგურს გავრცელება შეუძენია. არადა, უნდა ეთქვათ მარტივად, გაუჭიფხავად: **ფართოდ გავრცელდა აგური, ფართოდ იყენებდნენ აგურს...**

პირდაპირ ბავშვურ აბსურდს დაემსგავსა ფრაზა: **„ხალხის წრიდან გამოსული მასები“.**

ავტორებს არა სცოდნიათ, რომ **„ხალხის წრე“** ზუსტად იგივეა, რაც **„მასები“.**

მაშ, მივიღეთ სოფისტიკა.

ეგ სოფისტიკა რომ ქართულად ვთარგმნოთ, აი, რას მივიღებთ:

„ხალხის წრიდან გამოსული ხალხის წრეები“.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ახალიზმი: „ადამიანის ფუნა“ (394).

აკადემიკოსებს არა სცოდნიათ, რომ ფუნა საქონლისაა, ხოლო ადამიანისას სხვა რამ ჰქვია.

აქვე დავძინოთ: „საშინელი ენით (და აზრითაც) არის გამორჩეული ქვეთავი „ილია ჭავჭავაძე“. სხვა საშინელებებს აქ კიდევ ერთი ემატება — პუნქტუაციური დომხალი.

ბუნდოვანი „გასროლებიდან“ კიდევ ერთი დავაგემოვნოთ: **„ცხინვალი — უძველესი ქართული ტოპონიმის მქონე დაბა“** (461).

მაშ, ცხინვალს უბეში დამალული ჰქონია უძველესი ქართული ტოპონიმი.

არადა, რა მარტივად და გაუჭიფხავად შეიძლება, ითქვას:

„ცხინვალი“ უძველესი ქართული ტოპონიმია.

მაშ, ქართულის არმცოდნე იყენებს 6 სიტყვას და მაინც ვერ გამოხატავს სათქმელს; მცოდნე იმარჯვებს 4 სიტყვას და ყოველივე გასაგებია!

ერთტომეულის „მკაფიოობას“ ხომ გავეცანით; ახლა სხვა „წვრილმან“ შეცდომებს დავურიალოთ.

ანუ კავშირის წინ თითქმის არსად ჩანს ყოვნის ნიშანი (5-540), არადა, აუცილებელია; „აგრეთვე“ იგივეა, რაც **„ც“** ნაწილაკი. ამიტომ მძიმეებით არ გამოიყოფა. აქ უფრო ხშირად გამოცალკევებულია (5-540); მიუღებელია **„მერიდიონალური“** (5 და სხვაგან); **„თავის ქალას ფრაგმენტი“** (10) კი არა, **„ქალის“; „საჭმლის მოპოვება“** (11) კი არა, **„საკვების მოპოვება“;** წერია „გუბის“ (12). უნდა იყოს „ყუბის“, რაკიღა საუბარი ეხება ყუბანის მხარეს; ავტორებს არა სცოდნიათ მნიშვნელობა სიტყვისა **ახო.** ისინი წერენ: „**რაც მოითხოვდა ტყეების გაჩეხვას, ახოების გაკაფვას“.** არადა, **ახო სწორედ რომ გაჩეხილი ტყეა.** ქეგლ-ში (ერთტომეული, გვ. 55) ვკითხულობთ: **ახო — საყანედ გაკაფული ტყე;** წერია: **„ნაბინარი“** (16). უნდა იყოს **„ნაბინავარი“;** არის **„ორნამენტირებული“** (16), უნდა **„ორნამენტებიანი“.**

წიგნში, ჩვეულებრივ, გვხვდება მახინჯი გამოთქმა **„გაერთიანებასთან გვქონდა საქმე“.** ესეც უცხოენობრივი კალკია; წერია: **„ქართველი ხალხის წარმოქმნის, ანუ ეთნოგენეზის გარკვევა“** (177). ხაზგასმული შეცდომაა. მის ადგილას უნდა ეხმარათ სიტყვა **„წარმოშობის“.**

ცნობილი კალკი-კლიშე **„პირველ რიგში“** ერთტომეულის ჩვეულებრივი სამეტყველო ერთეულია (5-540). არადა, უნდა **„უწინარეს ყოვლისა“;** სრულიად მოუწესრიგებელია პუნქტუაცია; ესეც კალკია: **„იდენტიფიკაციის საქმეში“** (20). უნდა **„იდენტიფიკაციაში“; ითვლება** კი არა, მიიჩნევა. არადა წერია: **„ითვლებოდა და ითვლება“** (20); წერია: **„ურარტელთაგან“** (21). უნდა **„ურარტუელთაგან“;** აქ ჩვეულებრივ გამოიყენება **„რამოდენიმე“** (21 და ყველგან). უნდა **„რამდენიმე“;** არის **„ტიპიური“** (27 და სხვაგან). უნდა იყოს **„ტიპური“;** წიგნიერი ფორმაა **„შემოქმედი“.** ერთტომეულში ყველგან გვაქვს **„შემომქმედი“** (34 და სხვა); ასევე უხეში ხარვეზია **„როლი ითამაშა“** (267 და ბევრგან). უნდა **„როლი შეასრულა“; „ალაგმვის გარეშე“** (291 და სხვაგან) კი არა, არამედ — **აულაგმავად“.** უსწოროდ არის მომარჯვებული სიტყვა **„თითქოს“: „მაგრამ საქართველო თითქოს განწირული იყო“** (363). უნდა **„თითქმის“;** უბადრუკია გამოთქმა: **„ომის მოსალოდნელობა მოიხსნა“** (364); **„სამშობლოს პატრიოტები“** (368) კი იმად არის უხეში აზრობრივი ტავტოლოგია, რომ **პატრიოტი** თვითონვე ნიშნავს სამშობლოს; **არ აწყობდა** (376) კი არა, **ხელს არ აძლევდა;** უგერგილო და მოუხეშავია **„არტილერიის პარკი“** (376); ხოლო ორთოგრაფიული შეცოდებაა **„იღწვოდა“** (377). უნდა — იღვწოდა; **„კოლონიალური“** (401-402) არაერთგან გვხვდება. უნდა **„კოლონიური“;** იმავე ტიპის შეცდომაა **„სენიორალური რეჟიმი“** (209); **პარასკევობით** (205) კი არა, **პარასკეობით; ამაშია თავისებურება** (229) კი არა, — **ესაა თავისებურება; „დიდი გარდატეხა“** (470) კი არა, **„დიადი გარდატეხა“; „კულაკები კლავდნენ“** (471) კი არა, **„ხოცავდნენ“.**

მაგრამ მავანი მაგრად გაიცინებს და იტყვის: რა დროს ენობრივი ხარვეზებია, როდესაც ისტორიკოს აკადემიკოსებს სასაცილო ფაქტობრივი შეცდომებიც კი მოსდითო?!

აი, ისინი:

ენგური და ხობი „რწყავენ სამეგრელოს და სვანეთს“ (5).

არც ერთი მდინარე არაფერსა რწყავს, თუ ადამიანებმა არ აიძულეს იგი, ესა თუ ის ტერიტორია მორწყოს.

უფრო საყურადღებო მაინც ეგ შეცდომაა: **„VIII საუკუნის 40-იან წლებში ლაშქრობისას, ურარტუს მეფე სარდური II-ს ხელთ უგდია 1500 ცხენი“** (39).

იბადება კანონიერი კითხვა: ჩვენი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში რა უნდოდა ურარტუს მეფეს?! ამ დროს რომელი ურარტუ არსებობდა?!

ბლეფი გაგონილა, ოღონდ ამხელა?!

ამ სასაცილო ფაქტს ეხმიანება მეორე, უფრო სასაცილო განაცხადი: „პეტრე იბერი XIV საუკუნის ფილოსოფოსია“ (266).

არადა, ცნობილია, რომ **პეტრე იბერი გახლავთ მეოთხე საუკუნის ფილოსოფოსი.**

პეტრე იბერი ძველი მოღვაწე იყო და, შესაძლოა, ამიტომ დაავიწყდათ მისი ავან-ჩავანი, მაგრამ შევარდნაძე ხომ ახლაც ცოცხალია? იმას მაინც რად არ დაეკითხნენ, თუ სად დაიბადა: ლანჩხუთის თუ ოზურგეთის რაიონში? გვიწერენ: შევარდნაძე დაიბადაო **„ლანჩხუთში, სოფელ მამათში“** (510).

ისტორიკოსმა ეს ხომ მაინც უნდა იცოდეს — როცა შევარდნაძე დაიბადა, იმხანად **მამათი წარმოადგენდა სოფელ ძიმითის თემის ერთ-ერთ უბანს და შედიოდა ოზურგეთის რაიონში;** როგორც თბილისის ერთ-ერთი უბანია დღეს დიდუბე, ძიმითის ისეთივე უბანი იყო იმჟამად მამათი.

დიდი ბაქიბუქით ლაპარაკობენ XVII საუკუნის ლიტერატურაზე, მაგრამ სულ არ გაუთვალისწინებიათ **უზარმაზარი** (106-სტროფიანი) **სახოტბო პოემა, იაკობ შემოქმედელის „ქება მეფისა არჩილისა“** (314).

გვხვდება ზოგიერთი საკამათო წინადადება. მაგალითად, ყუთლუ-არსლანის დემოკრატიული და პროგრესული მოთხოვნა მონათლულია ავანტიურად (228). რატომ? პარლამენტარიზმის იმ დროს მოთხოვნა ხომ ქართული პარლამენტარიზმის სიძველეზე მიუთითებს და დროით ინგლისის პარლამენტარიზმსაც კი უსწრებს!

სასაცილო აზროვნების ნიმუშია ეს: **ტახტზე ავიდა დემეტრეს ვაჟი გიორგი მესამე, მაგრამ მას არა ჰქონია პაპამისის ძალა. „რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, ძნელი სათქმელია“** (209).

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ამაზე პრიმიტიული და სასაცილო კომენტარი!

ასევე ღიმილისმომგვრელია ფაქტი: მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი: **„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს“.** კომენტარი ჭეშმარიტად სახოხმარიკოა: **„მეტაფორა, საფიქრებელია, საქართველოს, შირვანის და დარუბანდის ხელმწიფეებს ეხება“** (231).

არადა, კარგად არის გარკვეული: ა**ქ იგულისხმება „მათ სამთა გმირთა მნათობთა“ სახელები: ტარიელი, ფრიდონი, ავთანდილი.**

ეჭვიც არ მეპარება, ბოლოს მკითხველი ჩემთან ერთად „გულამოსკვნილი“ შესძახებს:

ისტორიკოსებო, რა მოგდით, რა გემართებათ?!

◎ სტუმარი

მინისტრმა სერგეი ბუბკას უმასპინძლა

საძართველოში 2-დღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლეგენდარული უკრაინელი სპორტსმენი, მძლეოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა.

იგი საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – თბილისი 2015-ის ხელმძღვანელ ალექსი ახვლედიანთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს შეხვდა.

მხარეებმა თბილისში 2014 წელს დაგეგმილ მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის, ასევე 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზე და საქართველოში მძლეოსნობის სამომავლო განვითარების თემებზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფარგლებში სერგეი ბუბკა სტუმრობდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ლეგენდარულმა ჭოკით მხტომელმა ასევე დაათვალიერა თბილისი 2015-ისთვის მშენებარე ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სპორტული ინფრასტრუქტურა და დიდუბეში მდებარე მძლეოსნობის სასახლე.

აღსანიშნავია, რომ ბუბკას ვიზიტის პარალელურად საქართველოს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების კომისიის თავმჯდომარე გვიდო დე ბონდი სტუმრობდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სტუდენტური ლიგა

მოიგო და მეორეზე გადაინაცვლა

საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის წინა ტურში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები ხარკოვში პოლიტექნიკოსებთან დამარცხდნენ, მე-4 ტურში კი კიევის ტექნიკური ინსტიტუტის გუნდს აჯობეს 73:63 (20:15, 8:19, 22:13, 23:16). ნიკოლოზ დერიუგინის შეგირდებმა (დავით გურაბანიძე, რევაზ დიდია (20), ლევან გრძელიძე (7), ნოდარ გოგოძე (21), ირაკლი ალხანაიძე (5), გიორგი ცირეკიძე, რიჩარდ მათიაშვილი (16), ავთანდილ ლომინაშვილი (4), ლევან იოსებაშვილი, საბა ლობჟანიძე, დავით დეკანოიძე) აღმავლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა. განსაკუთრებით რიჩარდ მათიაშვილმა იყოჩაღა – მოედანზე მთელი 40 წუთი (!) დაჰყო და თანაგუნდელებს 22 (!) მოხსნითა და 16 ქულით შეეშველა. შესაბამისად, 21 და 20 ქულით გამოირჩნენ გოგოძე და დიდია. ანგარიში პირველივე წუთზე გრძელიძემ ზუსტი სამქულიანი ტყორცნით გახსნა. ამის შემდეგ სტუმრები უპირატესობას ფლობდნენ და პირველი მეოთხედი ხუთი ქულით მოიგეს – 20:15. მეორე ათწუთიან მონაკვეთში მასპინძლები გააქტიურდნენ და მდგომარეობის გამოსწორებაც შეძლეს. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – ჩვენმა გუნდმა შეხვედრა 10 ქულით მოიგო – 73:63 და მეორე გამარჯვებით გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გათამაშების ცხრილი

	თ	მ	წ	ბ	ძ
მგუ	3	3	0	259:220	6
სტუ	4	2	2	300:284	6
ხპი	2	2	0	137:123	4
რსფუ	3	1	2	248:258	4
კპი	2	0	2	124:143	2
რსეუ	2	0	2	129:196	2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები მორიგ მატჩს 10 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ - როსტოვის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის (რსეუ) გუნდს უმასპინძლებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

ვერც აჯერად ვძლიეთ

ლიტვა – საქართველო 23:17 (12:7)

საქართველო. შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გიორგი გვაზავა, ლევან ბერძენიშვილი, რატი მსხვილიძე (4), აკაკი ტალახაძე, უჩა გამზარდია, სერგო დათუკაშვილი (2), ირაკლი ჩიქოვანი (6), ვლადიმერ რუსია (3), რეზო ჭანტურია (2), ოთარ ამირანაშვილი, ილია გოგალაძე, ზურაბ აბრამიშვილი.

მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რასიჩი, **მწვრთნელები** – ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე.

საქართველოს და ლიტვის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს 1994 და 1996 წლების ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. ჩვენმა გუნდმა ოთხივე მატჩი წააგო: 1993 წელს მოსკოვში – 18:30 და 15:30, 1995 წელს კი კაუნასში – 9:22 და 16:22. მეტოქეები ამჯერადაც ლიტვაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, უკვე 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობაში. მე-5 პაექრობაშიც ქართველებმა დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი. მატჩის პირველი ტაიმი მასპინძლებმა 12:7 მოიგეს. შესვენების შემდეგ უფრო თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და სტუმრები ის მხოლოდ ერთი ბურთით დათმეს. საბოლოოდ ლიტვამ 23:17 გაიმარჯვა. პირველივე ტურში ფინეთმა შინ თურქეთს 26:20 (15:12) აჯობა. მე-2 ტური 3 ნოემბერს გაიმართება. საქართველო ფინეთს თბილისის სპორტის სასახლეში 18 საათზე შეხვდება, თურქეთი კი ლიტვას ეთამაშება.

გივი გაგუა

◎ რაგბი

ფინალში იასპარეზებენ

ლისაბონში გრძელდება 18 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ნახევარფინალში ესპანელებს დაუპირისპირდა. თამაშის დასაწყისშივე ქართველთა იერიშს ლელო მოჰყვა. მე-14 წუთზე გიორგაძემ მეორე ლელო გაიტანა, თუმცა ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ გარდასახვა ვერც ამჯერად გამოიყენეს. შესვენების შემდეგ ჩვენი ბიჭები გააქტიურდნენ, მონაგარს 21 ქულა მიუმატეს, მეტოქე კი პირველ ტაიმში მოხვეჭილ სამ ქულას დააჯერეს. საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 31:3 და ფინალში გავიდა. ის ახლოსაა, 2014 წლის მსოფლიო ალაფის ერთადერთი საგზური მოიპოვოს. საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 15. გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი თალაკვაძე, 12. რევაზ ბროძელი, 11. დავით გულიტაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. თეიმურაზ თუთბერიძე. 1. ზურაბ ხარებავა, 2. გიორგი თორაძე, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. ბადრი დანგაძე, 7. საბა შუბითიძე, 8. ჟორა მღებრიშვილი.16. დავით ფხაკაძე, 17. ბადრი ალხაზიშვილი, 18. ბექა კაკაბაძე, 19. დავით პაპავაძე, 20. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 21. ბადრი ლიპარტელიანი, 22. ანზორ სიჭინავა, 23. ირაკლი სვანიძე.

ლაშა დიდია

◎ ტრაგედია

„ბოტაფოგოს“ ექსფეხბურთელს თავი მოაჭრეს

ბრაზილიაში „ბოტაფოგოს“ ყოფილი ფეხბურთელი ჟოაუ სანტოსი სასტიკად მოკლეს.

იქაური Globo Esporte-ს ინფორმაციით, 35 წლის სანტოსს თავი მოაჭრეს, ჩანთაში ჩადეს და რიო დე ჟანეიროში მისი სახლის შესასვლელთან დააგდეს.

პოლიციას მკვლელობის შესახებ ყოფილი ფეხბურთელის მეუღლემ შეატყობინა. სანტოსის მკვლელობის ძირითადი ვერსია მის პროფესიონალურ საქმიანობას უკავშირდება. ბოლო პერიოდში ის ფარმაცევტული ბიზნესით იყო დაკავებული.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

„ბარსელონას“ პერუელი ქომაგი

მსოფლიოში სახელგანთქმულ საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ უამრავ ქომაგს კიდევ ერთი შეემატა. ეს 23 წლის პერუელი მოდელი ვივიანა ფლორესია, რომელმაც საყვარელ გუნდს ეროტიკული ფოტოსესია მიუძღვნა და ამით ცდილობს „ბარსელონას“ საუკეთესო და ამავე დროს ჯიბესქელი ფეხბურთელების ყურადღების მიქცევას.

ვივიანა ფოტოსესიის დროს „ბარსელონას“ საკლუბო ფერებში იყო გამოწყობილი. იგი არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ ვარსკვლავ ხუან რომან რიკელმეს მხურვალე თაყვანისმცემელია, რომელიც 2000 წელს „ბარსელონას“ ღირსებას იცავდა და შეიძლება ამის გამოა, რომ დღეს პერუელი ლამაზმანი ამ გუნდს გულშემატკივრობს.

გეჟან დოლიძე

◎ მწერალთა სახლის ახალი სიცოცხლე

თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისთვის...

მეშვიდე თვეა, გაიხსნა მწერალთა სახლის პირველი სართული. მისი დირექტორ-მენეჯერი ნატა ლომოური ფიქრობს, რომ სახეცვლილი და თანამედროვე მართვის პრინციპებზე დაფუძნებული მწერალთა სახლი ქართული კულტურის ღია სივრცე იქნება, სადაც ქართველი და უცხოელი მწერლები, კულტურის მოღვაწეები საზოგადოებას თავიანთ შემოქმედებას წარუდგენენ.

სიახლეებზე, საინტერესო პროექტებზე გვესაუბრება ნატა ლომოური:

— ზოგადად, სიახლეა პირველ აპრილს ამ სახლის გახსნა. ჩემთვისაც კი მოულოდნელად ძალიან დატვირთული გრაფიკი აღმოჩნდა. ეტყობა, საზოგადოება თბილისში მაინც მოწყვეტილი იყო ახალ კულტურულ სივრცეს, განსაკუთრებით კი, ამ ადგილის ნოსტალგია ჰქონდა.

ამ სახლს, არაორდინარულ ისტორიასთან ერთად, საქართველოს ისტორიის ცუდი პერიოდებიც ახსოვს. მაინც დადებითი აურა აქვს აქაურობას. ეს თბილისელებს ახსოვთ და ყველა სიამოვნებით მოიჩქარის აქეთ. ხომ ხედავთ, ჩვენი გრაფიკიც დატვირთულია. მოხდა ისე, რომ საკმაოდ ბევრმა ლიტერატურულმა და სახელოვნებო პროცესმა ჩვენთან გადმოინაცვლა. სიახლე სწორედ ეს არის.

ვცდილობთ, გამოვაცოცხლოთ აქაურობა, მრავალი ახალგაზრდა მოვიზიდოთ. რამდენიმე წარმატებული პროექტიც განვახორციელეთ. მაგალითად — საერთაშორისო პროექტი „ლიტერატურის ღამე“. საქართველოს წარმოადგენდა აკა მორჩილაძე, იყვნენ ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი მწერლები. ოთხივე მწერალმა საკუთარი ტექსტები წაიკითხა. დარბაზი მსმენელს არ იტევდა. „ლიტერატურის ღამე“ 7 საათზე დაიწყო და ღამის 1 საათზე დასრულდა. წიგნის ფესტივალის ფარგლებში, ჩვენთან „პოეზიის ღამეც“ გაიმართა, რომელშიც მრავალი ახალგაზრდა პოეტი მონაწილეობდა.

გვაქვს ძალიან საინტერესო ციკლი — „მთარგმნელები მწერალთა სახლში“, ასევე ციკლი „საუბრები ლიტერატურაზე“, სადაც ერთი შეხვედრა ლევან გიგინეიშვილთან და გიგა ზედანიასთან გაიმართა. ორივემ არაჩვეულებრივი ლექცია წაიკითხეს, ლევანმა — ვაჟა-ფშაველაზე, გიგამ კი — პოლ ოსტერზე. ასეთ ციკლს სხვადასხვა განხრით ვაკეთებთ და სამომავლოდ უფრო მეტად დაინტერესება.

ამ სეზონის მნიშვნელოვანი სიახლეა: „ბავშვები მწერალთა სახლში“, მწერალი მაკა მიქელაძე შაბათობით ხვდება ბავშვებს, მოჰყავს სტუმრები, საბავშვო მწერლები, პოეტები, მხატვრები. ასაკობრივად ორი ჯგუფი გვექნება — პატარების, 7 წლამდე და 7-12 წლამდე, რომელთაც მაკა წაუკითხავს ზღაპრებს, წიგნებს, მითებს, ხოლო მეორე ჯგუფს ასწავლის, თუ როგორ უნდა წერონ.

სახლი ღიაა ყველანაირი ლიტერატურული და სახელოვნებო წრისთვის. ასეთია ამ სახლის კონცეფცია. მიზანიც ეს იყო, ეს სივრცე მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრებისთვის არ ყოფილიყო ლიმიტირებული. ადამიანს, რომელიც აქ მოდის: მწერალი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, სიამოვნებით ვუთმობთ დარბაზს, არანაირი შეზღუდვა არ არის.

ასე რომ, ჩვენი კალენდარი საკმაოდ დატვირთულია. გვსურს, რომ ლიტერატურულმა პროცესებმა ამ სივრცეში გადმოინაცვლოს. ზაფხულში მწერალთა სახლის არაჩვეულებრივი ბაღიც გამოვიყენეთ. ის, რომ რაიმე შეხვედრა, ან წარდგინება მწერალთა სახლში ტარდება, ყველა ავტორისთვის სასურველია.

— ეს სახლი კულტურული ძეგლია, ამავე დროს, განსაკუთრებული ისტორიული ფასეულობით გამოირჩევა. თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ აქ რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გაიხსნება, თანაც, შესაძლოა — აკაკის ოთახში?

— ოთახზე ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ეს გეგმა ძალაშია. ეს სახლი კულტურის ძეგლია. როგორც კი ძვირადღირებული რესტავრაცია დასრულდება, მეორე სართულზე ავალთ, სამუზეუმოდ ერთი ოთახი რეპრესირებული მწერლების მუზეუმად მოიაზრება. და კიდევ, ვფიქრობ, აქ უნდა არსებობდეს მეორე ოთახი, რომელიც ამ სახლის ისტორიას დაეთმობა. სამწუხაროდ, საქართველოში დავით სარაჯიშვილის მუზეუმი არ გვაქვს. 30 წლის განმავლობაში არც ერთი საზოგადოებრივი წამოწყება არ ყოფილა, რომლის სულის ჩამდგმელიც დავით სარაჯიშვილი არ ყოფილიყო, ან სერიოზული წვლილი არ ჰქონოდა. ილია ჭავჭავაძის დონის საზოგადო მოღვაწე და პირველი ევროპული დონის ქველმოქმედი იყო. მარტო მისი სტიპენდიატების სიას რომ თვალი გადაავლოთ, ვინ იყვნენ, მიხვდებით მისი ქველმოქმედების და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი და ეროვნული აზროვნების მასშტაბებს.

არანაკლებ საინტერესო პიროვნება იყო აკაკი ხოშტარია. თავის დროზე მას ეს სახლი აუქციონზე ქართველი საზოგადოების მოთხოვნით რომ არ შეეძინა, ჩვენამდე ასეთი ფორმით არ მოაღწევდა. ამიტომ ამ სახლის ისტორიას მუზეუმი აუცილებლად უნდა დაეთმოს.

— არის მწერლების ერთი ჯგუფი, რომელიც ამბობს, რომ ეს სახლი იურიდიულად მათი საკუთრება იყო...

— მართლაც, იყო 1921-დან 2007 წლამდე. ეს შენობა მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა. ახლა იურიდიულად სხვა ფორმა აქვს.

თავიდან იყო ცოტა უთანხმოება. ამ ეტაპზე ყველამ დაინახა, რომ ეს არის თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისათვის. მწერალთა კავშირისთვის დარბაზის დათმობა არანაირი პრობლემა არ ყოფილა. მათთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით მოდიან მწერალთა კავშირის წევრები. ჯერჯერობით ამ ფორმატით იკრიბებიან.

როცა მთლიანად აღდგება სახლი, რამდენიმე ოთახი იქნება და იქნება იმის საშუალებაც, რომ კონკრეტულ ორგანიზაციას კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის ოთახი დაეთმოს. მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს მწერალთა კავშირი, პენცენტრი თუ სხვა გაერთიანება. ამას მხოლოდ მე არ ვწყვეტ. არსებობს მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭო — 11 ადამიანის შემადგენლობით და მათთან ერთად მივიღებ გადაწყვეტილებებს.

— ამ შენობაში უნიკალური ბიბლიოთეკა არსებობდა. მალე ვიხილავთ მას?

— რასაკვირველია, ბიბლიოთეკაც აღდგება. ეს მტკივნეული თემაა, რადგან რემონტის დროს საჭირო გახდა ოთახების დაცლა და წიგნების გადატანა-გადმოტანა. წიგნები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენმა თანამშრომლებმა რამდენიმე შაბათობა მოვაწყვეთ და წიგნები ქვედა სართულიდან ნელ-ნელა ზემოთ აგვაქვს, რომ ნორმალურ პირობებში განვათავსოთ.

დავიწყეთ ჩვენი ბიბლიოთეკის შექმნა-შეკოწიწება. ვინაიდან ავტორები პრეზენტაციებს უფასოდ ატარებენ, ჩვენი საფასურია, მათ თითო წიგნი შემოგვწირონ. აქ უამრავი ძვირფასი წიგნია, ანუ ამას ყველაფერს დასჭირდება დამუშავება, გაწმენდა. პირველ სართულზე წიგნების საცავის განთავსება იგეგმება, რათა წიგნები კარგ პირობებში ინახებოდეს. იმ დარბაზით, რომელსაც ადრე ბიბლიოთეკას ეძახდნენ, ყველას შეუძლია მოვიდეს და ისარგებლოს.

— წიგნის მაღაზია, ლიტერატურული კაფე, სასტუმრო... მშვენიერი გეგმები გაქვთ, მაგრამ როდის განხორციელდება?

— კიდევ გეუბნებით, ამ ყველაფრის გაკეთება ისევ ფინანსებზე არის დამოკიდებული. სხვათა შორის, შენობის ზედა სართულზე ბევრი რამ გაკეთდა და დამონტაჟდა: გაყვანილობები, გათბობის სიტემები. ვინც აქ მოდის, აუცილებლად კაფეს ამბავს კითხულობს. აქ არაჩვეულებრივი ტერასა და ბაღია. ქვედა სართულზე ბაღშიც შეიძლება რამდენიმე მაგიდის დადგმა. არის ინტერნეტი. ძალიან მყუდრო გარემოა მწერლისთვის, რომ მოვიდეს და წყნარად იმუშაოს. აქ საგამოფენო დარბაზიც იყო. ქვედა სართული დაეთმობა: წიგნის მაღაზიას, ბიბლიოთეკას, წიგნების საცავს, სულ ზედა სართული კი — სასტუმროს.

— სასტუმრო როგორ წარმოგიდგენიათ, ვისთვის იქნება განკუთვნილი და ასეთი ტიპის ლიტერატურულ სახლებს როგორი სტრუქტურა აქვთ ევროპაში?

— ძალიან მინდა, რომ ამ სასტუმროში მხოლოდ უცხოელები არ შედიოდნენ, ხელმისაწვდომი იყოს ასევე ქართველებისთვის. ის ხელოვანები, მწერლები, რომლებიც თბილისში რეგიონებიდან ჩამოდიან და დარჩენის საშუალება არ აქვთ, ამ სახლში უნდა რჩებოდნენ და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებაც ჰქონდეთ.

გერმანიაში ორი ასეთი სახლია. გამორჩეულია ლიტერატურული სახლი ვანზეე — არაჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი ადგილი ბერლინის შემოგარენში ტბაზე, რომელიც მწერლებს, მთარგმნელებს, გამომცემლებს მასპინძლობს. ვინც იქ ჩადის, შეუძლია დიდხანს გაჩერდეს, იმუშაოს, იცხოვროს, ანუ ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანხობრივად.

ვანზეეს ლიტერატურული სახლის მესვეურები ჩვენთანაც იმყოფებოდნენ. პირველად იქ ცხოვრების პატივი საქართველოდან ოთარ ჭილაძეს ჰქონდა, შემდეგ — ზაზა ბურჭულაძეს. დაწესებული აქვთ სტიპენდიები. შეხვედრები მკითხველებთან, მთარგმნელებთან, გამომცემლებთან. ძალიან მიღებული პრაქტიკაა.

— უცხოეთის რომელ სამწერლო ორგანიზაციებთან დაამყარეთ კავშირი?

— ყველაზე პირველი გერმანია იყო. უკვე რამდენიმე წელია, დავდივართ ფრანკფურტის, ლაიფციგის წიგნის ბაზრობებზე. გერმანიასთან საკმაოდ დიდი ხნის კულტურული ურთიერთობები გვაქვს. საგულისხმოა, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრს კითხულობენ და ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის ფონდი და ლიტერატურის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტია. ევროპიდან ბევრი შეთავაზება მივიღეთ ერთობლივ მუშაობაზე, პოლონელებთან ვაპირებთ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებას. ასევე გვყავდა შვეიცარიელი, კანადელი, იტალიელი სტუმრები. ჩვენ ვთანამშრომლობთ ასეთ დაწესებულებებთან, პროექტებს ვგეგმავთ, ბევრი ელოდება სახლის საბოლოო გახსნას, რომ უფრო მარტივი იყოს ერთობლივი პროექტების განხორციელება.

ჩვენთან მოსული უცხოელები გიჟდებიან აქაურობაზე, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე ქართველები. ისინი არ ელოდებიან, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში ევროპული ტიპის დახვეწილი, არქიტექტურული სახლი არსებობდა.

ჯერჯერობით შვიდი თვეა ვმუშაობთ, და მაინც, სასიხარულოა, რომ ნახევრად გახსნილ სახლში ყოველდღე რაღაც ხდება.

— თქვენი პრიორიტეტია მთარგმნელობითი საქმიანობა...

— ამ ეტაპზე ვგეგმავთ სემინარების, მასტერკლასების ჩატარებას. იგეგმება შეთანხმება, რომ 2017 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანა იქნება. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევაა და სერიოზული, სახელმწიფოს დონეზე მომზადებაა საჭირო. ეს პროცესები კულტურის სამინისტროში გადაინაცვლებს. უფრო მეტი ფული ჩაიდება. იქ იგეგმება სტრუქტურული ცვლილება სწორედ იმისთვის, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა ძალიან მაღალ დონეზე ავიდეს. ამ პროცესებში ჩვენც აქტიურად ჩავერთვებით.

დაბოლოს, ნატა ლომოურის თქმით, მწერალთა სახლი საზოგადოებას ასევე შესთავაზებს „ქართველი და მოწვეული ავტორების შემოქმედებით საღამოებს, ლიტერატურულ გამოფენებს, თემატურ კონფერენციებს და სამუშაო შეხვედრებს; მწერალთა სახლი იქნება თანამედროვე ლიტერატურის გავრცელების, გაცნობისა და კრიტიკული განხილვის ადგილი, სადისკუსიო სივრცე მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესები და გამოწვევები, ვისაც უბრალოდ აინტერესებს და უყვარს ლიტერატურა“.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

◎ ინფორმაცია

შეხვედრა განათლების სამინისტროში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ინკლუზიური განათლების შესახებ საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, საკონსულტაციო ჯგუფში შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და თავად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, მორიგ სამუშაო შეხვედრაზე, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის მიმდინარეობის 6 თვის ანგარიში წარუდგინა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრისას განსაკუთრებული აქცენტი იქნა გაკეთებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული ტესტირების შედეგებზე და პროფესიული განათლების პროცესის დაგეგმვის საკითხებზე.

სიახლე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

2014 წლიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის გამოცდას მოსმენის ნაწილი დაემატება, — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა.

მიმინოშვილმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის არსებულ სიახლეებზე ისაუბრა. მისი თქმით, აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ. გარდა ამისა, მისივე თქმით, საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება პირველიდან მე-9 კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

მიმინოშვილის განცხადებით, იგეგმება უცხო ენის გამოცდას დაემატოს მოსმენის ნაწილი. გამოცდაზე დაახლოებით 10 წუთი იქნება გამოყოფილი იმისათვის, რომ აბიტურიენტმა მოისმინოს ტექსტი შესაბამის ენაზე და შემდეგ შეასრულოს დავალება. როგორც მიმინოშვილმა აღნიშნა, პირველ ეტაპზე ეს ძალიან მარტივი იქნება, ბარიერის გადალახვაზე ეს ზეგავლენას არ მოახდენს, 100-ქულიან ტესტში მხოლოდ 8 ქულა დაეთმობა ამას და აბიტურიენტებისთვის ეს რთული არ იქნება.

◎ კრიმინალი

სამალავში 540 ლიტრი საწვავი და 185 კოლოფი სიგარეტი აღმოაჩინეს...

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან საქართველოს მოქალაქე დ. ტ. შემოვიდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა დ.ტ.-ის კუთვნილი ავტობუსის დათვალიერებისას, სპეციალურად მოწყობილ სამალავებში 27 ბალონი, დაახლოებით 540 ლიტრი დიზელის საწვავი აღმოაჩინეს.

მოქალაქეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით 1000 ლარი, ასევე, დამალული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა შეეფარდა.

სგპ „ლაგოდეხის“ გავლით, ამჯერად თურქეთის მოქალაქე ი.ა.-მ სცადა კუთვნილ ავტომანქანაში მოწყობილი სამალავით, 185 კოლოფი სიგარეტის თურქეთიდან საქართველოში მალულად შემოტანა.

ი.ა.-ს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით 1000 (ათასი) ლარი შეეფარდა.

ინტერპრესი

ინფორმაცია

ქართული ვაშლი – რუსეთში

რუსეთის საზღვარი ქართული ვაშლის პირველმა პარტიამ გადაკვეთა. ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია НТВ ავრცელებს.

რუსული ტელეკომპანიის ინფორმაციით, ხილის ერთი პარტია მოსკოვში, მეორე პარტია კი ციმბირში გაიგზავნება. ასევე დაგეგმილია მსხლის, კომშის, კარალიოკისა და თხილის შეტანა.

ამასთან, НТВ-ს ცნობით, ამ დროისთვის კონტრაქტების გაფორმება მიმდინარეობს რუსულ ბაზარზე ქართული მანდარინისა და სხვა ციტრუსების შეტანასთან დაკავშირებით.

„ინტერფაქსის“ ინფორმაციით კი, ნოემბერში თბილისს „როსსელხოზნადზორის“ სპეციალისტები ეწვევიან. რუსი ექსპერტები მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე პროდუქტების წარმოების პროცესს დააკვირდებიან.

ტესტი

ხართ სულით ახალგაზრდა?

ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ ეს თქვენ თითონ. როდესაც ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს უპასუხებთ, პასუხებისთვის „ყოველთვის“ დაიწერეთ 4 ქულა, „ზოგჯერ“ — 3 ქულა, „იშვიათად“ — 2 და „არასოდეს“ — 1 ქულა.

1. ცვლილებები და რისკი მოგწონთ?
2. გრძნობთ, რას ფიქრობენ და (ან) შეიგრძნობენ სხვა ადამიანები?
3. ისწრაფვით ახალი ნაცნობობისკენ?
4. ადგენთ გეგმებს სამომავლოდ?
5. მოგწონთ ის ადამიანები, ვინც თქვენ არ გგვანან?
6. ღებულობთ კმაყოფილებას, როდესაც პატარა ბავშვებთან თამაშობთ, მათ შორის სხვა ბავშვებთანაც?
7. მიგაჩნიათ თქვენი სამუშაო მნიშვნელოვნად და საინტერესოდ?
8. მოგწონთ სხვა ადამიანებთან შეხება: მეგობრების კოცნა შეხვედრის დროს, მათთვის ხელის მოხვევა?
9. თქვენი აზრით, სიამოვნებთ ადამიანებს თქვენი საზოგადოება?
10. გრძნობთ თავს ბედნიერად და ცხოვრობ კმაყოფილად?
11. ვარჯიშობთ და (ან) მისდევთ რომელიმე სპორტს?
12. გასართობია თქვენთვის რთული ამოცანების გადაწყვეტა?
13. გიყვართ ცეკვა და (ან) სიმღერა?
14. შეგიძლიათ ატირდეთ, როდესაც უყურებთ რომანტიკულ მელოდრამას ან თვალყურს ადევნებთ რაიმე ტრაგიკულ სცენას ცხოვრებაში?
15. ოცნებობთ და გიყვართ ფანტაზირება?
16. იმზირებით მომავალში გაბედულად, გწამთ უკეთესი?
17. თუ აფასებთ თქვენს სამუშაოს, როგორც თამაშს?
18. თუ ფიქრობთ ახალ, არასტანდარტულ ხერხებზე გააკეთოთ სრულიად სხვადასხვა სამუშაო?
19. ფიქრობთ, რომ თავად განახორციელოთ ცხოვრებაში ესა თუ ის იდეა —ესაა მიმზიდველი და მეტად საინტერესო?
20. ღებულობთ კმაყოფილებას ყოველი ახალი დღისგან?

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

80-60 ქულა. თქვენ სულიერად ბავშვად დარჩით. ნუ გეშინიათ, გააოცოთ სხვები და ნუ გეშინიათ, თუ თავად ხართ გაკვირვებული. მზად ხართ, გაიზიაროთ ბრძენის სიტყვები: ცხოვრება მოკლეა! აპატიე სწრაფად. იცინე თავშეუკავებლად. იცეკვე, თითქოს არავინ გიყურებდეს. იმღერე, თითქოს არავინ გისმენს. გიყვარდეს, თითქოს არავის შენთვის ტკივილი არ მოუყენებია. იმიტომ, რომ სიცოცხლე ადამიანს ეძლევა ერთხელ და უნდა ისუნთქო მთელი მკერდით აქ და ახლა... ისღა დაგვრჩენია გისურვოთ — ნუ დაკარგავთ თავს, რა გამოცდებიც არ უნდა მოგიწყოთ ბედმა.

59-36 ქულა. თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი დაახლოებით შეესაბამება ბიოლოგიურს. ოღონდ ნუ დაივიწყებთ, რომ ბედნიერება — წვრილმანებშია. თამაშობდე ბავშვებთან, ითვისებდე მათ სიხარულს, როდესაც ხედავ მათ ღიმილს — ეს ხომ ბედნიერებაა! და ერთი საერთო ღიმილი ორისთვის — განა ეს ბედნიერება არაა?! ნუ მისცემთ თავს ნებას დაივიწყო შეყვარებულის შეგრძნება!

35-20 ქულა. გრძნობთ თავს დათრგუნვილად? შეეცადეთ, გამოძებნოთ საკუთარ თავში ის თვისებები, რომლებსაც შეუძლიათ, დაგეხმარონ, შეხედოთ ვითარებას სხვა კუთხით, იყოთ უფრო გულღია და უშუალო, მაშინ ფიზიკურადაც დაიწყებთ იმის შეგრძნებას, რომ გაცილებით ახალგაზრდა ხართ!

ციცხალი ანეკდოტები

— ექიმო, იცით რა, — ეუბნება ექიმს შეწუხებული ახალგაზრდა კაცი, — ერთი ჩემი ნაცნობი ეჭვობს, ვენერული ხო არ ავიკიდეო.

— მერე რა, — უპასუხებს ექიმი, — ჩაიხადეთ შარვალი და მაჩვენეთ თქვენი ნაცნობი.

* * *

პოლიკლინიკაში თუ მიხვედი, იმწუთს ბახილებს ჩაგაცმევენ, ხოლო ექიმს შინ თუ გამოიძახებ, ეგრევე ჩექმებიანი შემოვა და ხალიჩაზეც გაივლ-გამოივლის.

* * *

— **საყვარელო,** ხო გჯერა, რომ ჩემი თავი თვით ღმერთმა გაჩუქა.

— მჯერა... მაგრამ ვერ გავიგე, რა ცოდვის გულისთვის დავისაჯე ასე.

* * *

— **ხვალ** სალაშქროდ მივდივართ.

— თბილები წავიღოთ?

— ჰო, ექვსი ბოთლი წამოიღე.

* * *

— **იოდიანი** კალიუმი გაქვთ?— არა, ციანიდი გვაქვს.

— მერედა რა სხვაობაა.

— არცთუ დიდი — სულ ორი მანეთი.

* * *

მხოლოდ რუსეთში შეიძლება, რომ გადაბრუნებული მანქანიდან სიცილი მოგესმათ.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან

მერაბიშვილი ქუთაისის სასამართლოში სისტემატურად სიარულს არ აპირებს

წინასწარ პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქუთაისში დაგეგმილ სასამართლო სხდომებზე სისტემატურად დასწრებას არ აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება მერაბიშვილმა სოციალურ ქსელში გააკეთა და მიზეზიც განმარტა. „ბატონო მოსამართლევ, ჩემი აზრით, ქუთაისის სასამართლომ უკვე არაერთგზის მიიღო უკანონო გადაწყვეტილება — ჩემთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, წინა სასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვება და სასამართლო პროცესზე ბრალდებისთვის 4000-მდე მოწმის დაკითხვის საშუალების მიცემა. წინა სასამართლო სხდომაზე მე აგიხსენით, რომ ჩემთვის რთულია თბილისიდან ქუთაისში კვირაში ერთზე მეტი პროცესი, რის პასუხადაც თქვენ განაცხადეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში კვირაში სამ პროცესსაც კი ჩაატარებდით. ამ განცხადებამ მე საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ქუთაისში მე არ უნდა ველოდო სამართლიან სასამართლოს. ამიტომ მე გადავწყვიტე, რომ შემეწყვიტა ქუთაისის სასამართლოში სისტემატური სიარული... დღეიდან მე მხოლოდ რამდენიმე პროცესს დავესწრები“.

„ახალი თაობა“

თბილისის მერს უფლებები ეზღუდება

დედაქალაქის მერს თანამდებობის პირების დასანიშნად საკრებულოს თანხმობა დასჭირდება — საუბარია ვიცე-მერების, სამოქალაქო სამსახურის უფროსების, გამგებლების, ადმინისტრაციის უფროსის მოხსნა-დანიშვნაზე, რაც დღეისთვის ერთმნიშვნელოვნად მერის პრეროგატივაა. პარლამენტში უკვე ინიცირებულია „დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი.

„რეზონანსი“

კობა სუბელიანს იჭერენ?

ცნობილი გახდა, რომ უახლოეს პერიოდში დევნილთა და განსახლების ყოფილი მინისტრის კობა სუბელიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. იმედია, არც ის დრო იქნება შორს, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა დამნაშავე წარმომადგენლებსაც მოეკითხებათ. რაც შეეხება სუბელიანს, მის მინისტრობისდროინდელ საქმიანობაში არსებულ დარღვევებზე კომენტარს აკეთებს პარლამენტის ადამიანის უფლებადაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, იგი ამბობს, რომ სუბელიანის საქმე უკვე შესულია პროკურატურაში. გაგზავნილია 10 საქმე მის წინააღმდეგ და უკვე დაწყებულია გამოძიება.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24